645
1963

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

აპრილი
1963 წ. № 4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მიმართვა ქალებს

სულ უფრო და უფრო იზრდება ქალის როლი ყველა კონტინენტის ხალხთა ცხოვრებაში. ქალების ფართო მხარდაჭერით იქნა მოპოვებული გამარჯვებები მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

ქალები მგზნებარედ გამოდიან მშვიდობის დასაცავად, რადგან მათთვის მეტად ძვირფასია სიცოცხლე, რომელსაც სათავეს თვითონვე აძლევენ, ადამიანების ნაყოფიერი შრომა და კაცობრიობის ბედნიერი მომავალი.

ისინი იბრძვიან და მომავალში კიდევ უფრო შეუპოვრად იბრძოლებენ იმისათვის, რომ საზოგადოებამ აღიაროს და განახორციელოს მათი უფლება დედისა, მშრომელისა და მოქალაქისა, ასევე სრული თანასწორუფლებიანობა ოჯახსა და საზოგადოებაში.

ისინი მოქმედებენ იმისათვის, რომ უზრუნველყონ ბავშვთა კეთილდღეობა—კაცობრიობის ყველაზე დიდი სიმდიდრე.

მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლებაა მათ სამართლიან მისწრაფებათა განხორციელების გზაზე.

და მხოლოდ ერთად, შეერთებული ძალღონით შესძლებენ მთელი მსოფლიოს ქალები თავისი საერთო მიზნების მიღწევას.

1963 წლის 24-29 ივნისს მოსკოვში ჩატარდება ქალთა საერთაშორისო კონგრესი, რომელსაც ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია იწვევს.

ამ კონგრესზე შეიკრიბებიან ყველა რასის, ყველა პროფესიის, ყველა რელიგიისა და მრწამსის ქალები. აქ მათ შეუძლიათ მოახდინონ აზრთა გაცვლა-გამოცვლა, გაუზიარონ ერთმანეთს თავისი გამოცდილება და განიხილონ ის ღონისძიებები, რომლებიც მათ შეერთებული ძალღონით უნდა გაატარონ მათთვის სასიცოცხლო ინტერესების მქონე საკითხების გადასაწყვეტად.

კონგრესის კარი ფართოდ იქნება გაღებული ყველა ქალისათვის, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა—მუშა და გლეხი ქალებისათვის, ინტელექტუალური შრომის ადამიანებისათვის, დედებისათვის, რომლებიც თავიანთი შვილების სიცოცხლის გადასარჩენად იბრძვიან. ეჭვი არაა, კონგრესი ყველა ქვეყნისა და კონტინენტის ქალთა ფართო მხარდაჭერას ჰპოვებს. მას მხარს დაუჭერენ ის ქალები, რომლებიც ქალთა დემოკრატიულ ფედერაციაში შედიან, ისინიც, ვინც ქალთა სხვა ორგანიზაციისა და მოძრაობის წევრად თვლიან თავს და აგრეთვე სხვადასხვა გამოჩენილი მოღვაწეები.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია მოგიწოდებთ თქვენ მხარი დაუჭიროთ და მონაწილეობა მიიღოთ ქალთა საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში, რომლის დღის წესრიგში დგას შემდეგი საკითხები:

— საყოველთაო და სრული განიარაღება, მშვიდობა, სუვერენიტეტი და ეროვნული დამოუკიდებლობა, დემოკრატიული თავისუფლება, ადამიანურ ღირსებათა დაცვა.

— ქალის როგორც დედის, მშრომელისა და მოქალაქის უფლებათა მოპოვება, გარანტია და დაცვა.

— ყველა ბავშვის უფლების დაცვა სიცოცხლეზე, ჯანმრთელობასა და განათლებაზე.

ყველა ქვეყნის ქალთა შორის ურთიერთპატივისცემის, ნდობისა და მეგობრობის ატმოსფერო უზრუნველყოფს ფართო და თავისუფალი დისკუსიის შესაძლებლობას და ხელს შეუწყობს კონგრესის წარმატებით მუშაობას.

დედებო,

მოქალაქენო,

მშრომელებო!

ეს კონგრესი თქვენი კონგრესია. თქვენი პირადი მონაწილეობა, თქვენი ორგანიზაციის მონაწილეობა ხელს შეუწყობს მთელი მსოფლიოს ქალთა ბრძოლას შეერთებული ძალით მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ქალთა უფლებებისათვის და ბავშვთა ბედნიერებისათვის.

მიღებულია ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოს სესიაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვ. ი. ლენინი (1870—1963)

# ბიჭუნა



(ნაწყვეტი მოთხრობიდან)

ლენინის მისაღებ ოთახში შუადღით ფანჯრებს აღებდნენ, აღებდნენ ისე ფართოდ, რომ ჩანდა ცა, უსაზღვრო, მოწმენდილი და სულაც არაქალაქური.

მე არ შემინიშნავს, როგორ შემოვიდა ბიჭი ოთახში და დაჯდა მოშორებით, მაგრამ კარგად მახსოვს, როგორ გადაურბინა ღიმილმა მომლოდინე ხალხს სახეზე. ჩემს წინ ფერმკრთალი სახის ბავშვი იჯდა და ხელში ეჭირა პაკეტი. იგი ათი-თორმეტი წლისა თუ იქნებოდა.

— შენ აქ როგორ შემოხვედი? — შენიშნა გვერდით მჯდომმა.

მაგრამ ბიჭმა მხოლოდ პაკეტზე მიუთითა, მუხლებზე რომ ედო:

— აი...

— ლენინს არ სცალია. სამი საათის შემდეგ განთავისუფლდება. დაელოდები?

ბიჭმა ტუჩები მოკუმა:

— დაველოდები.

— არ მოგშივდება?

ბიჭმა ამოიოხრა;

— არა...

ვიღაცამ მიუტანა ჭიქა ჩაი და სიფრიფანა ორცხობილა.

— ჩაალბე ჩაიში. ორცხობილა ჩაისთან ერთად კარგია.

მაგრამ ბიჭი არ განძრეულა. შემდეგ ორცხობილას დაემატა შაქრის ნატეხი. ბიჭმა გაიღიმა და თვალი მოარიდა შაქარს.

მე კი ვუყურებდი ბიჭს და მღელვარებისგან სუნთქვა მეკვროდა. ჩემს წინ, ცისფერი პაკეტით მუხლებზე, იჯდა ჩვენი მომავალი. იგი ისეთი მკაცრი, გამამხნევებელი და თანაც ისეთი სუსტი იყო, რომ მინდოდა გამეწოდებინა ხელი და მაგრად, მაგრად მომეჭირა. ამასობაში მზემ მიაღწია კრემლის ოქროს თავთან და ჩაქრა. ქალაქში ბინდი ჩამოწვა.

—ვინ მელოდება? —

შემოვიდა ლენინი.

შემოვიდა ჩქარი, მაგრამ მაინც მოღლილი ნაბიჯით.

— ვინ არის აქ?

ბიჭმა სასაცილოდ წაიგრძელა ისედაც გრძელი კისერი და წამოდგა.

— მე ვარ... აქ.

ლენინი შეჩერდა, გაკვირვებით შეხედა ბიჭუნას....

— შენ? აი, თურმე რა! პაკეტია?

ბიჭი შეცბა. ნუთუ ყველაფერი დამთავრდება ასე უბრალოდ: ლენინი მიიღებს პაკეტს და წავა.

— აქ ჩვენებურად, რუსულად კი არ სწერია...

ლენინს გაეღიმა.

— მე და შენ გავარკვევთ როგორმე! — მან პაკეტი გამოართვა, დახედა, წარბები ასწია, — დიდი ხანია მელოდები? — შეხედა ბიჭს. — ჭამე რამე დღეს, მეგობარო? რატომ არის ორცხობილა და შაქარი ხელუხლებელი? ასე არ ვარგა! წამოდი ჩემთან. გავაცხელოთ სადილი, ჩვენ თვითონ გავაცხელოთ და ვისადილოთ.

ბიჭმა გაიღიმა, თავი დააქნია და წავიდნენ. ჩამოდგა სიჩუმე დიდი სახლისა, რომლისთვისაც ღამე ნიშნავდა სიმშვიდესა და დასვენებას. და იქნებ იმიტომ, რომ ასეთი სიჩუმე იყო, მე დავინახე როგორ გაიარა ორმა დერეფნის ბოლოში და სამზარეულოში შევიდნენ. მე თითქოს მესმოდა, როგორ ახმაურებდნენ ისინი ჭურჭელს, როგორ მხიარულად ფუსფუსებდნენ ღუმელთან. იქნებ უკვე მაგიდას მიუსხდნენ, ლენინი ბიჭს დააკვირდა და მოულოდნელად გაჩუმდა... არა! ეს უბრალო საუბარი არ იყო.

დერეფნის ბოლოში ლენინი მართლაც ლაპარაკობდა ჩვენს სანუკვარ მომავალთან, რომელიც იცხოვრებს იმ შორეულ დროში, როცა რუსეთი კომუნიზმში შეაბიჯებს.

ს. დანგულოვი



ალექსანდრე ჩხაიძე

ქვის ნიღბები იცქირებიან კედლიდან. ოვალური ფანჯრების გასწვრივ სიცილ-ტირილით ენაცვლებიან ისინი ერთმანეთს. ერთს რომ მწუხარებისაგან დაღრეჯია სახე, შუბლი შეჭმუხვნია და ნიკაპთან ნაოჭები მომრავლებია. მეორე ნიღაბი მაცდურად იღიმება და, თითქოს მეზობლის წუხილს დასცინისო, მისკენ დაკლაკნილი ენა გადმოუგდია.

შენობის ფრონტონიდან მოწითალო ქვის ნიღბები გადმოჰყურებენ ქუჩას, გამვლელებს.

ამ ნიღბებს იქით თეატრია.

ნიღბებს ქვევით კი, შესასვლელთან გრძელი ცისფერი ავტობუსი დგას.

შაქრო მანქანის საფეხურზე ჩამომჯდარა და კედელზე ჩამწკრივებულ უცნაურ სახეებს მისჩერებია. ორი თვეა შაქრო თეატრის ავტობუსის მძღოლად მუშაობს, ეს ქვის თავები კი დღეს პირველად შეამჩნია, — ალბათ, უსაქმობისაგან. ავტობუსი კარგა ხანია მზადაა გასასვლელად. მსახიობებიც სხედან შიგ, მაგრამ დასის გამგე ბენო, გამხდარი და შეჭაღარავებულ საფეთქლებთან ძარღვებდაბერილი კაცი, ნერვიულად წრიალებს, საათს დასცქერის. ეტყობა, ვიღაცას ელიან. შაქრო მზადაა, მანქანაც რიგზეა, როგორც კი ეტყვიან, მაშინვე გაუტევს ხევისაკენ.

დღეს ხევში კულტურის სახლი იხსნება და ზეიმზე თეატრია მიწვეული. ცნობილი კომედია უნდა უჩვენონ. მაგრამ, აგერ, დათქმულ დროს თითქმის მთელი საათი გადასცდა, ადგილიდან კი არ იძვრიან. დასის გამგე მოუთმენლად გაჰყურებს მოსახვევს, საიდანაც თამარ გელოვანი უნდა გამოჩნდეს. თამარი ასრულებს მთავარ როლს დღევანდელ სპექტაკლში და სწორედ ის აგვიანებს...

ავტობუსი თითქმის სავსეა. წინა სავარძელზე ტანმომცრო მოხუცი ქალი ზის და წიგნს კითხულობს. ეს მოკარნახე დეიდა კატოა. კატოს სულ მუდამ ან პიესა უჭირავს ხელში და მსახიობს ტექსტს კარნახობს, ან კიდევ წიგნს კითხულობს. ერთადერთი ადამიანი თეატრში, რომელთანაც კატო მეგობრობს, თამარ გელოვანია. ის თავისუფალი ადგილიც, მის გვერდით, თამარისაა.

დირექტორის მოადგილე ქუჩაში გამოვიდა.

—შაქრო, რამდენ ხანში ავალთ? —შეეკითხა მძღოლს დასის გამგე.

— რა ვიცი... გზებია ცუდი. ოთხი საათი მაინც მოვუნდებით. — კედლისთვის თვალი არ მოუშორებია ისე მიუგო შაქრომ და უცებ მოაგონდა, რომ ეს მოცინარი და მტირალი სახეები მას სხვაგანაც უნახავს!.. მაგრამ სად?.. ჰო, სცენაზე, ფარდის ზემოთ, პირდაპირ კედელზეა მიხატული...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მესამე ზარის შემდეგ

მხატვარი ნანი შალიკაშვილი

— კატო დეიდა! — კატომ სათვალე მოიხსნა და შაქროს მიაჩერდა. — ნაკითხი ქალი ხართ და ნამდვილად გეცოდინებათ, რატომ მიუკრავთ ეს ქვის თავები თეატრის კედელზე?

—ეგ, შაქრო, თეატრის ემბლემაა. — კატომ სათვალე გადაშლილ გვერდში ჩადო და წიგნი დაკეცა. — წინათ, ორი-სამი ათასი წლის წინათ, ძველ რომსა და საბერძნეთში აი, ასეთი ნიღბებით გამოდიოდნენ მსახიობები. მაშინდელი თეატრის შენობა ასეთი კი არ იყო, უფრო სტადიონს ჰგავდა; რადგან ხმა შორიდან არ ისმოდა, მაყურებლები ნიღბებით არჩევდნენ კომიკურ და ტრაგიკულ პერსონაჟებს.—კატომ შეხედა მძღოლს და მიხვდა, კარგად ვერ გააგებინა ნათქვამი, ამიტომ სხვა მხრიდან მიუდგა: — შენ ჩვენთან „ოიდიპოს მეფე“ ხომ ნახე?

— ვნახე, მაშ! კარგი რამეა, კინაღამ მეც ვიტირე.

— „კინტოსაც“ ნახავდი.

— ეგ კიდევ უკეთესი. ბევრი ვიცინე...

— ჰოდა, „ოიდიპოსი“ ტრაგედიაა, „კინტო“ — კომედია. აი რომ ტირის ის ნიღაბი ტრაგედიას ნიშნავს, რომ იცინის — კომედიას, გაიგე?

სამორიგეოდან სახეზე ალმურმოდებული დირექტორის მოადგილე გამოვიდა და ერთხელ კიდევ გახედა ქუჩას.

— დეკორაციები მაინც არ გაგვეგზავნა, რომელიმე სხვა სპექტაკლით შევცვლიდით.

— ან ისეთი როლი იყოს, ვინმეს შეეძლოს შეცვლა! — ინატრა ბენომ.

— მოდი გავუაროთ, — გაისმა ავტობუსიდან გაუბედავად.

— გავლა არაა საჭირო. თამარი მოვა!— წიგნიდან თავი არ აუღია, ისე ჩაილაპარაკა კატომ.

— როგორ ჰყავს ბავშვი? — იკითხა ვილაცამ.

— ცუდად. — თქვა კატომ. იგი დაჟინებით ჩასცქეროდა ერთსა და იმავე გვერდს. შეიძლება არც კითხულობდა.

—მაშინ ვერ მოვა.

— ნამდვილად მოვა! — დაბეჯითებით გაიმეორა კატომ და სწორედ ამ დროს გაისმა ბენოს ხმა:

— მოდის!

ტანმაღალი, შუახნის ქალი გამოჩნდა მოსახვევში. იგი სწრაფად მოაბიჯებდა. ყელზე მოგდებულ აბრეშუმის ლურჯ თავსაფარს ნიავი უფრიალებდა, მოკლედ შეკრეჭილი ჭაღარა თმა ეწეწებოდა და ცალი ხელით იმორჩილებდა მას. შორიდანაც გარკვევით მოჩანდა მისი დიდრონი, ახალგაზრდულად მოელვარე შავი თვალები.

დირექტორის მოადგილემ და ბენომ თავისუფლად ამოისუნთქეს. თამარმა ბოდიში მოიხადა დაგვიანებისათვის და თავისი ადგილი დაიკავა კატოს გვერდით.

—აბა, რაღას უდგახართ! —დააჩქარა დირექტორის მოადგილემ შაქრო.

ბენოც შევიდა ავტობუსში და ადგილიდან დაიძრნენ.

ყველა თვალს არიდებდა თამარს. მხოლოდ კატომ შესწყვიტა ერთი წამით კითხვა, მაგრამ თამარის გამოხედვაში სასიკეთო ვერაფერი ამოიკითხა და ისევ დაუბრუნდა წიგნს.

სანამ ავტობუსი ქალაქის ხმაურიან ქუჩებში მიჰქროდა, სარკმელში ცქერით ერთობოდნენ, მაგრამ როგორც კი დაადგნენ ხევისაკენ მიმავალ გზატკეცილს, აუტანელი შეიქნა უხერხული დუმილი.

ეს თამარმაც იგრძნო, ისიც იგრძნო, რომ მას უნდა დაერღვია სიჩუმე, მაგრამ კრიჭაშეკრული სათქმელს ვერ პოულობდა. უცებ უკანა სავარძელში მჯდომ ვახტანგს მოჰკრა თვალი. მას მუხლებზე პორტატული რადიომიმღები ედო. დღეს თბილისის „დინამო“ თამაშობდა და ფეხბურთზე გადაყოლილ ვახტანგს თან წამოეღო გასვლითი სპექტაკლებისათვის საგანგებოდ ნაყიდი რადიომიმღები.

— ვახტანგ, დავიჯერო, ვითომ მუშაობს ეგ შენი მიმღები? — გაუღიმა თამარმა ახალგაზრდა მსახიობს.

— რა თქმა უნდა, ქალბატონო თამარ! ცოტა არ იყოს, გაოცებით მიუგო ვახტანგმა.

— აბა, ჩართე!

ვახტანგი შეიშმუშნა, ამხანაგებს გადახედა, მაგრამ თხოვნა აღარ გაამეორებინა და მიმღები ჩართო. მოვარდისფრო ყუთში რაღაც ახიხინდა. შემდეგ ხმა თანდათან დაიწმინდა, დაიხვეწა და აღმართში ხრიალით მიმავალი ავტობუსის ძრავის დაგდაგს მუსიკის მელოდია შეუერთდა.

— ლისტის პრელუდიები, — თქვა თამარმა და ამით თითქოს ნიშანი მისცა სხვებს.

დუმილის ყინული გალხვა. ალაპარაკდნენ. ვილაცამ იხუმრა.

თამარს გულს მოეშვა ცოტათი, რადგან თანაგრძნობა და ყურადღება ზოგჯერ საწუხარს უფრო უმატებს, ვიდრე უქარვებს ადამიანს. იქნებ, განგებაც იცინიან ისინი, ნაძალადევად მხიარულობენ, რომ ერთი წუთით მაინც დაავიწყონ თამარს უკურნებელი სენით ლოგინად ჩავარდნილი ქალიშვილი. ვერა, ვერ დაივიწყებს! რამდენიმე საათი მესამე ზარის დარეკვამდე კიდევ თავის თავს ეკუთვნის თამარი და შეიძლება იფიქროს მასზე. რაც ჩაწვა, ყოველ ღამე მისი ნებართვით მიდის თამარი თეატრში. იცის მისმა ჭკვიანმა გოგონამ, რომ სხვანაირად არ შეუძლია დედას. დღესაც მან დართო ნება — გამგზავრებულიყო ხევში. მხოლოდ, ადრე ჩამოდიო, — შეევედრა თვალცრემლიანი...

თეთრსვეტებიან შენობასთან შეჩერდა ავტობუსი. ხევი მუსიკით შეეგება სტუმრებს. საზეიმო შეკრება დამთავრებულიყო. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იდგა ირგვლივ. პატარა ბიჭები შემოეხვივნენ მანქანას, პირდაღებული მიაჩერდნენ მსახიობებს.

კულტურის სახლის დირექტორმა ჩამოირბინა კიბეები. ბენო წინათ მას კლუბის გამგედ იცნობდა. ალბათ, ახალ თანამდებობასთან დაკავშირებით შეეკერა შავი კრეპის კოსტუმი. ამ სიცხეში, რატომღაც, ჟილეტიც ეცვა და შავი აბრეშუმის ყელსახვევი ეკეთა წვრილ ყელზე.

დირექტორი უკანა კარისაკენ წაუძღვა სტუმრებს. მსახიობებს თავთავიანთი ადგილი მიუჩინა ჩასაცმელად და გრიმის გასაკეთებლად.

—თქვენ აქეთ მობრძანდით, პატივცემულო, —მოწიწებით მიმართა თამარს დირექტორმა და პატარა, ნათელი ოთახის კარები შეაღო.

მალე იმ ოთახში კატოც შევიდა. მკლავზე ძველებური ქართული კაბა გადაეკიდა. ხელში ჩიხტი-კოპი და ფეხსაცმელი ეჭირა.

ხალათგადაცმული თამარი სარკის წინ იჯდა და თავის ორეულს დაჟინებით მისჩერებოდა. შემდეგ ბრტყელი კოლოფი გადახსნა, ფერად კუბიკებს მოავლო თვალი, მოვარდისფერო შეარჩია, მიხაკისფერით შეაზავა და ორი თითით ოდნავ მოისვა ლოყაზე, შუბლზე, ყვრიმალზე...

შეუფაკლდა ფერმკრთალი სახე. შემდეგ წარბები დაიმსხვილა შავი გუაშით. გუმოზის ნაჭერს მისწვდა, მოსრისა ხელით, დაარბილა თითების სითბოთი და ცხვირს მოარგო კეხად. მარცხენა ლოყაზე ხალი მიიკრა. ტუჩები ფართოდ მოიხატა წითელი საღებავით. პარიკმა სულ მთლად უცვალა სახე და უცაბედად დაამსგავსა ანჩისხატელ დედაკაცს. მხოლოდ თვალები, ნაღველით სავსე თვალები სრულებით არ ეხამებოდა ამ უეცრად გამხიარულებულ სახეს. და თამარმა ერთი წუთით დახუჭა თვალები...

სადღაც, ქვემოდან, ყრუდ და ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოისმა ზარის წკრიალი.

— მესამე ზარია, პატივცემულო თამარ.— შეახსენა ბენომ მორიდებით.

...ფარდა გაიხსნა და მაშინვე დაცხრა მოზუზუნე დარბაზი. სპექტაკლი დაიწყო.

კატომ მიკეცილ ფარდასთან მოიკალათა. თვალებით მიჰყვებოდა ტექსტს, კარნახი არავის ჭირდებოდა, რადგან ასჯერ მაინც ჰქონდათ დადგმული ეს სპექტაკლი.



გვერდით თამარი იდგა და ელოდა გასვლას. კატომ იგრძნო მისი ტანის თრთოლვა. სიბნელეში მონახა მისი დიდი ხელი, გასამხნევებლად მოუჭირა ხმელი თითები.

— აი ისიც გეახლათ, ბატონო. — მოისმა ნაცნობი რეპლიკა და იმავე წამს ტაშმა იგრიალა დარბაზში. მაყურებლები ელოდნენ თამარის გამოჩენას.

ასეთმა შეხვედრამ გამოაფხიზლა თამარი, საბოლოოდ გამოიყვანა ბურანიდან. ჩვეულებად არ ჰქონდა დარბაზში გახედვა, მაყურებელთა დაზვერვა მალულად. იგი მათ ყოველთვის გრძნობდა მთელი თავისი არსებით, სხეულისა და სულის ყოველი ნაწილით. შეუცდომლად შეეძლო მაყურებელთა რიცხვის განსაზღვრა. ახლაც ისეთი გუგუნი ისმოდა სიღრმიდან, ხალხით გაჭედილი დარბაზი რომ გამოსცემს ხოლმე.

პირველი სიტყვები წარმოთქვა თამარმა და მაშინვე სიცილმა გადაურბინა რიგებს. იარუსზე ვიღაცამ გულიანად გადაიხარხარა. პირველ რიგში გოგონას კისკისი გაისმა. შემდეგ კიდევ და კიდევ... თავდაპირველად ოდნავ შებორკილი პარტნიორებიც აიყოლია თამარმა და სპექტაკლი ჩადგა ჩვეულ კალაპოტში.

კატოს პიესა განზე გადაედო, ხელებში თავჩარგული და საოცრად დაპატარავებული, შეჰყურებდა თამარს. მისი გამოცდილი თვალი ვერ გრძნობდა თამარის თამაშში პროფესიულ თვალთმაქცობას, იგი ცხოვრობდა სცენაზე, თამაშობდა გულწრფელად. შუბლზე უკვე უბრწყინავდა ოფლის მძივები და თვალებშიც ნაღველის ნაცვლად ეშმაკური ელვარება ჩადგომოდა...

— ტელეფონთან გთხოვენ, პატივცემულო, —წასჩურჩულა კატოს გვერდით მდგომ დასის გამგეს კულტურის სახლის დირექტორმა და მოკარნახეს რატომღაც უსიამოვნოდ შეაჟრჟოლა.

...ბენოს ხელში შეჰყინოდა ყურმილი.

— რაიმე ცუდი ამბავი ხომ არაა? — გამოაფხიზლა იგი დირექტორის შეკითხვამ.

— არა... არაფერი. — ბენომ ყურმილი დასდო და ზემო სართულისაკენ მიმავალ კიბეს აუყვა. მას ახლა მარტო უნდოდა დარჩენა, რომ ყველაფერი საღად აეწონ-დაეწონა. თამარის ოთახთან შეჩერდა. პირველი მოქმედების დამთავრებამდე აქ განმარტოება შეიძლებოდა.

ბენო შევიდა ოთახში, სინათლე გამორთო და გამოღებულ ფანჯარას მიადგა. ღრმად შეისუნთქა გრილი ჰაერი. ხელმისაწვდომზე შრიალებდნენ ჭადრის ფოთლები. ამ წუთს საკუთარი თავი შესძაგდა ბენოს. გამომგზავრებამდე, თეატრთან, თამარს რომ ელოდნენ, ერთადერთი საზრუნავი ჰქონდათ: ამაღამდელი სპექტაკლი არ ჩაშლოდათ. ახლა კი დირექტორის მოადგილემ აცნობა ტელეფონით: ნახევარი საათის უკან თამარის ქალიშვილი გარდაიცვალაო. მეტი არაფერი უთქვამს. ბენოც არ შეკითხვია, როგორ მოქცეულიყო. ერთი ცხადია: სპექტაკლის დამთავრებამდე ამაზე სიტყვაც არ დაიძვრება, მაგრამ შემდეგ? ხვალ დილამდე ფეხს არ მოაცვლევინებენ აქედან მასპინძლები. მერე, ყველაფერი რომ გამოირკვევა, რა პირით შეხედოს თამარს! უცებ საშინლად მოუნდა თვალი შეევლო მისთვის. თითქმის სირბილით დაეშვა სცენისაკენ.

პირველი მოქმედება მთავრდებოდა. თამარს დაეპყრო სცენაც და დარბაზიც: სიცილი და შეძახილები თან სდევდა მის ყოველ სიტყვას. ბენოს მაგარ კაცად მიაჩნდა თავი, მაგრამ იგრძნო, რომ მუხლები ღალატობდა, გული ყელში ებჯინებოდა.

კატომ მოსწყვიტა მზერა სცენას და დასის გამგისაკენ მიბრუნდა, მაგრამ ბენომ სახე მოარიდა და სადღაც გაუჩინარდა,

ტაშის გრიალში დაიხურა ფარდა.

თამარს არავისთვის არ შეუხედავს, მაშინვე თავისი ოთახისაკენ გაემართა.

კატომ შეაღო მისი ოთახის კარი. თამარი თვალდახუჭული ესვენა სავარძელში და მძიმედ სუნთქავდა. თავი არ მოუბრუნებია, არც განძრეულა, მიხვდა, კატო რომ შემოვიდა, ძლივს წაიჩურჩულა:

— პაპიროსი...

კატომ ანთებული ასანთი მიუტანა პაპიროსთან. რძისფერ ბურუსში გაეხვია მისი სახე. პირველი მოქმედება ძალიან ღლიდა თამარს, ამიტომ ტექნიკური რეჟისორი ყოველთვის აჭიანურებდა ანტრაქტს. მაგრამ, თამარს ისე დაეხვია ამაზრზენი ფიქრები, რომ მხოლოდ სცენაზე გასვლით შეეძლო მათგან თავის დაღწევა.

— დეიდა კატო, დამავალე... თხოვე, ადრე დაიწყონ მეორე მოქმედება.

მესამე ზარმა სცენაზე იხმო თამარი. თავდაპირველად ყურადღება არ მიუქცევია, რომ მის გამოჩენას რატომღაც დარბაზი დუმილით შეხვდა. ანტრაქტის დროს მაყურებელი საერთოდ ეთიშება მოქმედებას, მაგრამ აი მან წარმოთქვა ცნობილი ფრაზა, რომელსაც ყოველთვის ჰომერული ხარხარით ხვდებოდა მაყურებელი და... აერია ნაბიჯი სცენაზე, პირველად უღალატა დადგენილ მიზანსცენას... დარბაზიდან ჩქამიც არ ისმოდა, მაგრამ მაინც არ შეიმჩნია ეს და ოდნავ აუმაღლა ხმას. მეორე მოქმედება სავსე იყო კომედიური სიტუაციებით, გონებამახვილური დიალოგებით. სპექტაკლი მიდიოდა რიტმში, უნაკლოდ, მაგრამ მაყურებელთა რიგებში კვლავ ცივი დუმილი იდგა, თითქოს ხალხი სულერთიანად გაკრეფილაო დარბაზიდან.

თამარი ვერ მიმხვდარიყო, თუ რა ხდებოდა მის ირგვლივ. იგი ხედავდა მხოლოდ პარტნიორთა არანაკლებად გაოცებულ სახეებს, მიკეცილ ფარდასთან პიესით ხელში მოკუნტულ დეიდა კატოს და კიდევ ბენოს, რომელსაც გაოცება და შიში ერთად ეხატა სახეზე...

ბენომ ფარდა გასწია ოდნავ და დარბაზს გახედა. რამპის შუქს იქით ბურუსში ჩანდა ნახევარი პარტერი. არ ჩანდა არცერთი თავისუფალი ადგილი, მაგრამ მაყურებლები გაქვავებულებივით შეჰყურებდნენ სცენას, თითქოს იქ მხიარულ კომედიას კი არ თამაშობდნენ მსახიობები, არამედ მძიმე ფსიქოლოგიურ დრამას, ან ტრაგედიას.

უცებ საშინელმა ეჭვმა გაჰკენწლა გონება. მაშინვე გაემართა მეორე მხარეს კულისებში მყოფი დირექტორისაკენ, მკლავში ჩაავლო ხელი და დერეფანში გაიყოლია. დირექტორი გაოცებით მიაჩერდა დასის გამგეს.

— ვინმე ხომ არ ისმენდა ჩემს ლაპარაკს ტელეფონით? — ჩაეკითხა ბენო მას.

— როგორ გეკადრებათ, პატივცემულო... — იწყინა დირექტორმა, მაგრამ ბენომ მოუთმენლად შეაწყვეტინა:

— მე გეკითხებით, თუ შეეძლო ვინმეს მოესმინა ჩვენი საუბარი?

— ფოსტაში... ტელეფონისტს. — დირექტორს მოაგონდა თუ როგორ ეცვალა დასის გამგეს სახე ტელეფონით საუბრის დროს და შეუყოყმანდა: — შეიძლება ჩვენთანაც... სამორიგეოში გვაქვს პარალელური ტელეფონი... რა მოხდა, პატივცემულო? ახლავე შევიტყობ მაგ ამბავს. ტყავს გავაძრობ მე მაგათ...

— არა... საჭირო არაა. — ბენოს უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ის საშინელი ამბავი, რომელიც თითქოს მარტო მან იცოდა, ვიღაცას უკვე გაეტანა ხალხში, ხოლო ვინ ჩაიდინა ეს, ამის გარკვევას ახლა აზრი აღარ ჰქონდა.

პანაშვიდზე, მოულოდნელად, მხიარული საცეკვაო რომ დაუკრას ორკესტრმა, ასეთნაირი შეუსაბამობა იყო სცენასა და მაყურებელთა დარბაზს შორის. მსახიობები ტყავში ძვრებოდნენ, ოფლად იღვრებოდნენ... თამარი მაინც ძნელი საცნობი იყო, თითქოს ჯიბრში ჩაუდგა მაყურებელსო, თამაშობდა გატაცებით, თავდავიწყებით... ასეთი იგი არასოდეს უნახავს კატოს. ფეხზე წამომდგარს, პიესა ორივე ხელით მიეკრა მკერდზე და თითქოს მასაც გადაედოო მსახიობის ცეცხლი, უჩვეულოდ ანთებოდა თვალები. მაგრამ მას უფრო მეტად აკვირვებდა დარბაზის დუმილი...

ფარდა დაიხურა თუ არა, თამარი ისევ თავისი ოთახისაკენ გაემართა. მსახიობები კი სცენაზე დაბორიალობდნენ და ერთმანეთს გაოცებით ეკითხებოდნენ — რა მოხდაო! მაგრამ არავინ არაფერი იცოდა. ბენოც არ იღებდა ხმას, თუმცა გრძნობდა, ადრე თუ გვიან ის ამბავი მაყურებელთა დარბაზიდან სცენაზეც შემოცოცდებოდა და ვისიმე პირით თამარიმდეც მიაღწევდა.

თამარის ოთახისაკენ მიმავალ კატოს დასის გამგე შეეფეთა.

— რა მოხდა, ბენო?

— არ ვიცი... არაფერი არ ვიცი... — გაპრაზებით წამოიძახა ბენომ და მოკარნახეს გაშორდა.

კატო მცირეხანს იდგა დაფიქრებული, შემდეგ მიბრუნდა და მაყურებელთა დარბაზისაკენ გაემართა. ფოეში ჯგუფჯგუფად იდგა ხალხი, მაგრამ გარშემო არ ისმოდა ის ჩვეულებრივი სიცილი და ხმაური, მაყურებლებს რომ გამოჰყვებათ ხოლმე მხიარული მოქმედების შემდეგ. ყველანი იდუმალი სახით ჩურჩულებდნენ, სინანულით იქნევდნენ თავებს.

კატო შეუმჩნევლად შეყოვნდა ერთ ჯგუფთან. მზით გარუჯულ თმახუჭუჭა ახალგაზრდას ყოველი მხრიდან ეკითხებოდნენ:

— რა იცი? საიდან გაიგე? მართალია?

ახალგაზრდა იფიცებდა:

— ღმერთმანი! ტელეფონით დაურეკიათ, გარდაიცვალაო. რომ მოდიოდნენ, თურმე ცუდად ყოფილა. დიდი ხანია ლოგინადაა ჩავარდნილი.

კატო მოსცილდა იქაურობას, გაოგნებული მიაბიჯებდა ფოიეში და ყოველი მხრიდან ესმოდა:

— საწყალი ქალი! უბედურ შენს დედას!... მომაკვდავი ბავშვი მაინც როგორ დატოვა! ნეტავი თუ იცის!.. არ ეცოდინება, სპექტაკლის დამთავრებამდე არ ეტყვიან.

კატო სცენაზე აღარ დაბრუნებულა, დარბაზში შეჰყვა ხალხს, თავისუფალ ადგილს მიაგნო კიდეში და დაჯდა.

მესამე მოქმედებას თამარი იწყებდა. მიზანსცენით იგი ავანსცენაზე უნდა მდგარიყო და ისე მიემართა ხალხისათვის. აი, მან დაიწყო მონოლოგი... სიტყვებს თავისთავად აწვედიდა გონება ბაგეებს. სჩანდა თავისივე ნათქვამის აზრი არ ესმოდა... მისი დამფრთხალი თვალები ახლა მხოლოდ წინა რიგებში მსხდომთ ხედავდა. თანდათან გამოიკვეთა სიბნელეში გარინდებული სახეები... აი, წითელკაბიანი გოგონა ზის წინა რიგში. პირველი მოქმედების დროს ნამდვილად იგი კისკისებდა ისე გულიანად. ახლა კი ფართოდ გახელილი თვალებით შეჰყურებს თამარს და თან ნერვიულად წიწკნის ცხვირსახოცს... იმ ახალგაზრდა წყვილს რაღა დაემართა! ქალიშვილი ვაჟს ჩაფრენია მკლავში და ისე შემოსცქერის თამარს, როგორც საზარელ მოჩვენებას. ის მსხვილი და მელოტი კაცი იყო სიცილისაგან გულშეღონებული რომ კვნესოდა. — ვაი, დედა, მეტი არ შემიძლიაო. ახლა თამარმა მზერა რომ გაუსწორა, დაბლა დახარა დამფრთხალი თვალები და შეეცადა ამოფარებოდა მის წინ მჯდომ მოხუც ქალს, რომელიც რაღაცას ჩურჩულებდა თავისთვის...

თამარის ხმა ყრუდ გაისმოდა სიჩუმეში... და უცებ, სადღაც, ბოლო რიგებიდან კენტად გაისმა სიცილი და ტაშის ხმა... მაგრამ არვინ აჰყოლია მას, ვილაცეებმა წასისინებით ჩააჩუმეს უდროო დროს გამხიარულებული მაყურებელი.

უსიამოვნოდ შეაკრთოლა თამარს, ძლივს წარმოთქვა მონოლოგის ბოლო სიტყვები, მაგრამ შემობრუნებამდე ისევ იმ მოხუც ქალს შეავლო თვალი და მის ლოყაზე გავლებული ცრემლის ნაკვალევი დაინახა. მისი ბაგეები კვლავ ბუტბუტებდნენ რაღაცას... მაგრამ რას? „ვაი შენს დედასო“-ხომ არა?!...

მერე თამარს დარბაზისკენ აღარ გაუხედავს და არც ის დაუნახავს თუ როგორ წამოდგა გვერდის სკამიდან დეიდა კატო და მთლად მოკუნტული და დაპატარავებული წალასლასდა კარისაკენ...

კულისები სავსე იყო ხალხით. ყველა სცენაზე მყოფ თამარს შესცქეროდა. მათ უკვე იცოდნენ საზარელი ამბავი, ყველამ იცოდა, მთელმა თეატრმა, თამარის გარდა.

ვიღაცის ხელი შეეხო კატოს მხარს. მოიხედა. ბენო იდგა მის გვერდით. გამომყევიო, თვალით ანიშნა. დერეფანში არავინ იყო მათ გარდა. დასის გამგე ღელავდა, ტუჩები გაფითრებოდა, ძარღვები დაბერვოდა საფეთქლებზე.

— იცი, დეიდა კატო...

— ვიცი! — მიუგო კატომ.

— შეიძლება ულმერთოდ მოვექეცი თამარს, მაგრამ სხვანაირად მე არ შემეძლო... ვიცი, იგი გამიგებს. ალბათ, ვინმემ მოისმინა ტელეფონით რომ ვლაპარაკობდი და ხალხში გავიდა ეს ამბავი. დეიდა კატო... თამარს აქვე უნდა გავუმხილოთ... შენ უნდა ითავო ეს, დეიდა კატო...

სპექტაკლი დამთავრდა. ტექნიკურმა რეჟისორმა დახურა და შემდეგ ინერციით ისევ გახსნა ფარდა. თუმცა ეს მაყურებლებს ტაშით არ მოუთხოვიათ. მაგრამ, როცა სცენის შუაგულში თავდახრილი თამარი გამოჩნდა, მოხდა უცნაური ამბავი: ისეთმა ტაშმა იქუხა, თითქოს ჭერი ჩამოინგრაო.

ტაში კიდევ დიდხანს არ დამცხრალა, თუმცა ფარდა მეტი აღარ გახსნილა, რადგან თამარმა მაშინვე დასტოვა სცენა და თითქმის სირბილით მიაშურა თავის ოთახს.

ყველანი თამარის ოთახთან შეჯგუფდნენ, დერეფანში. ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, ფეხაკრეფით მიმოდიოდნენ. არავინ ფიქრობდა ტანსაცმლის გამოცვლას, გრიმის მოხსნას...

— გაგვატარეთ! — მოისმა ბენოს ხმა.

მას გზა მისცეს. ბენოს მოკარნახე მოჰყვებოდა. კატო მარტო შევიდა ოთახში. ყველა სულგაკმედილი ელოდა, რა მოხდებაო. ქვემოდან ისმოდა ხალხის ხმაური და მანქანის ხრიალი.

...თამარი იჯდა სარკესთან თავდახრილი და რაღაცას დაჰყურებდა. კატო მიუახლოვდა. თამარს ხელის გულზე პირმოცინარი ქალიშვილის სურათი ედო...

— თამარ... — უნდოდა რაღაც ეთქვა კატოს, მაგრამ თამარმა წაიჩურჩულა:

— ჩუმად... არაფერი თქვა... მე უკვე ვიცი... მითხრეს... ხალხმა მითხრა... იქ მაგრძნობინეს, სცენაზე... — და საოცრად მოეშვა ეს ძლიერი ქალი, ცრემლმა იპოვა გზა... იგი მოკარნახის დამჭკნარ მკერდს მიეკრა ქვითინით. მისი ღონიერი ხელები შემოეჭდო მოხუცის უძლურ ბეჭებს. მხრები აუცახცახდა...

კატომ ფრთხილად მოხადა პარიკი, თამარმა თავი ასწია. ჭაღარა თმა... მწუხარებით სავსე თვალები... და ანჩისხატელი დედაკაცის მაცდურად მოღიმარი პირ-სახე.

ახლა იგი ძალიან ჰგავდა იმ ორსახიან ნიღბებს, სიცილ-ტირილით რომ ენაცვლებიან ერთმანეთს თეატრის კედელზე და ათასწლეულთა სიღრმიდან გადმოსცქერიან ქვეყანას.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# „არავინ..."

გვარი, სახელი, მამის სახელი,

დაბადების წელი, თვე, რიცხვი,ადგილი,

ეროვნება,

ვინ ჰყავს მშობლებიდან, ახლო ნათესავებიდან,

...და გვარების, სახელების, ეროვნების, მისამართების გასწვრივ:

ავადმყოფი მამა...

უსინათლო ბებია...

პატიმარი მამა — დედამ მიატოვა...

მძიმე ავადმყოფი დედა...

არავინ...

არავინ...

გახუნებული, მოგრძო ჟურნალი საბავშვო სახლის დირექტორის კაბინეტში დევს, მრგვალ მაგიდაზე. გაყვითლებულ ფურცლებს შავი ლიანდაგები გასდევს. რამდენიმე გრაფა ამ ჟურნალში ერთ სიცოცხლეს ადგენს. მძივებივით ჩამწკრივებულ სტრიქონებს იქით პატარა ადამიანები დგანან დიდი, არაბავშვური მწუხარებით.

კალენდარზე ადრიანი გაზაფხულია. და რადგან ზამთარი ამ წელს სულაც არ ყოფილა და თვითონ ზამთარი ჰგავდა გაზაფხულს, სარკმელგაღებულ ოთახში მზე ისე აცხუნებს, როგორც ივნისში. თავად სუმბათაშვილის ყოფილი სასახლის ბაღში ცაცხვის ტოტებზე ჩიტები ჭიკჭიკობენ, გრილა. ოთახი კი მზის გულზეა.

— თითქოს ყველაფერზე ვისაუბრეთ, — ფეხზე დგება ქალი და ეს იმას ნიშნავს, რომ ინტერვიუ დამთავრებულია. უკმაყოფილებას ველარ ვფარავ. ის მამჩნევს და თითქოს მობოდიშებით ამბობს: — დამიჯერეთ, ჩემს ბიოგრაფიაში არაფერია საინტერესო. სჯობს ისევ ჩვენი სახლი დავათვალიეროთ...

თურმე, საინტერესო არაფერი ყოფილა მავრა მგალობლიშვილის ცხოვრებაში! ორიათასი ბავშვის გამოზრდა, ორიათასი სხვადასხვა ხასიათი, ორიათასი ბედი, შენს ბედთან, შენს ცხოვრებასთან გადახლართული, შესისხლხორცებული...

* * *

გულწრფელად სჯერა, რომ მის ცხოვრებაში მართლაც არაფერია არაჩვეულებრივი. მისი ბიოგრაფიის არცერთი ფაქტი არ ქცეულა საზოგადოების ხმაურიანი აღტაცების ან მსჯელობის საგნად. მისი ცხოვრების ისტორიას მხოლოდ შეხვედრები ქმნიან, შეხვედრები და გაცილებები, შემდეგ კი ლოდინი — წერილის, დეპეშის, ტელეფონის ზარის...

ჩვიდმეტი წლის ასაკიდან უდედმამო ბავშვებს უწევს დედობას. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ვაშლოვანის საბავშვო სახლში დაიწყო აღმზრდელად მუშაობა. კეთილმა და მოსიყვარულემ ადვილად გაიკვლია გზა ალერსმონატრებული პატარა გულებისკენ. ის პირველ დღიდანვე შეუყვარდათ, მას კი მალე უიმათოდ ცხოვრება აღარ შეეძლო.

ეს იყო ოცდათორმეტი წლის წინათ. მერე პატარებს აღარ მოსცილებია — ვაშლოვანში იყო, მახინჯაურში, კოჯორში თუ ქლუხორში და საკუთარი ცხოვრების მოსაწყობად დრო ველარ გამოძებნა.

მავრა მგალობლიშვილს არ უყვარს თავისთავზე ლაპარაკი, სამაგიეროდ ხალისიანად და დაწვრილებით ყვება თვითეულ პატარაზე, აქ მცხოვრებზეც და უკვე წასულებზეც, თუნდაც ისინი 10, 15 წლის უკან იყვნენ წასულები.

## დილა

ჰაერი მსუბუქია და გამჭვირვალე. ბალახს ნამი ჯერაც არ შეშრობია. ფანჯრები ღიაა და თეთრხალათიანი ქალი სახლს ირგვლივ უვლის.

სკოლამდელთა ჯგუფი სათამაშოებით ერთობა. მზის სხივი ფანჯრის მინაზე ეცემა და მისი მხიარული ათინათი პატარა ბიჭუნას თვალს ჭრის. ის კისკისებს, თვალებზე ხელს იფარებს და სარკმელთან მირბის. ფანჯრის ჩარჩოში თეთრხალათიანი ქალი დგას. „დეიდა მავრა!" ბიჭი გახარებულ სახეს მაღლა სწევს. შავი თვალებიდან იხედება უზარმაზარი ნდობა და ალერსი. ქალი იხრება. ბიჭის თვალებში ანთებული სიხარული მასში გადადის და თბილი ტალღა აწვება გულს, ბიჭუნას თავზე ხელს უსვამს.

* * *

ქვევით ჭიშკარი იღება. ნაძვებით დაჩრდილულ ეზოში ორნი შემოდიან, აღმართს აღარ ათავებენ და გზის პირას, სკამძელზე სხდებიან. „გაკვეთილები დამთავრებულია". — ფიქრობს მავრა. უნდა რაღაც კითხოს, მაგრამ და-ძმას ისეთი ბედნიერი, თითქმის შთაგონებული სახეები აქვთ,რომ აღარ ერევა მათს საუბარში. „კიდევ ვერ მოიჯერეს გული ერთმანეთის ცქერით!"

...მაშინ ბიჭი სულ პატარა იყო, მამამ რომ კოჯორში ამოიყვანა. ოჯახი აწეწვოდათ, მარტოხელა კაცს პატარებისთვის ველარ მოევლო. გოგონა, ამ ბიჭის მომდევნო, ადრე წაეყვანა მახარაძის ბავშვთა სახლში.

კაცს დამწუხრებული სახე ჰქონდა და ცხვირსახოცს შუბლზე მალ-მალე ისვამდა. როცა საბავშვო სახლის დირექტორს ემშვიდობებოდა, მის თვალებში შიშიც იყო და იმედიც. ფეხაკრეფით გავიდა ეზოდან. მერე საწყალი აღარც ამობრუნებულა. ავადმყოფობდა და შვილის ამბავს მხოლოდ წერილებით იგებდა.

პირველ ხანებში ბავშვი დარდობდა (აქ ყველა ბავშვი დარდობს პირველ დღეებში). ღამ-ღამობით ჩუმად ტიროდა, დადიოდა დაკარგულივით, დაბნეული და სასოწარკვეთილი. აღმზრდელები ართობდნენ, სხვებზე მეტს უალერსებდნენ (ახალმოსულს მეტი დაყვავება უნდა. ასეა ყოველთვის).

გაიარა კვირეებმა და პატარა გულმა ნაღველი გადაიყარა. ვოვა ნიჭიერი და შრომისმოყვარე ბავშვი გამოდგა. ბევრს კითხულობდა და მამასთან გასაგზავნ წერილებს რამდენჯერმე გულდაგულ გადაათეთრებდა ხოლმე. მაგრამ თბილისიდან წერილები სულ უფრო იშვიათად მოდიოდა. უკანასკნელი წერილი დირექტორს მოუვიდა.

„თქვენი ამაგი, თქვენი დაუფასებელი ამაგი, ჩემს ბიჭუნას რომ დასდეთ, უფლებას მაძლევს რჩევა გკითხოთ, როგორც უახლოეს ადამიანს, ვოვასთვის დედის მაგიერს: ეგ ბავშვი და ჩემი მეორე გოგონა, ნინიკო, მსურს ჩემთან გადმოვიყვანო. ახლა უკვე მოზრდილები არიან, მათი მოვლა ისე ძნელი აღარაა"...

მავრამ არ ურჩია. ბავშვი კარგად სწავლობს, სანიმუშო მოწაფეა. ვინ იცის, როგორ იმოქმედებს მასზე ახალი გარემო. მამა ავადმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფობს, შეუძლია კი ბავშვს ისეთი ყურადღება მიაქციოს, როგორიც სჭირდება? ვოვა მაინც პატარაა.

პასუხად მეორე წერილი მიიღო, კიდევ უფრო თბილი, გულითადი და... უკანასკნელი.

მამა გარდაიცვალა. ვოვასთვის ეს ამბავი არ გაუმხელიათ, ალერსი კი გაუათკეცეს. ერთხელ მავრამ ბავშვი თავისთან შეიყვანა, ჰკითხა: „რა გაგეხარდება ყველაზე მეტად?" ბავშვი მღელვარებისაგან წამოწითლდა: „მამა ჩამოვიდა?" ქალმა უარის ნიშნად თავი გაიქნია და ბიჭი გულში ჩაიკრა: „ნინიკო უნდა ჩამოვიყვანო. აქ იცხოვრებს ჩვენთან. ხომ გიხარია?"

ნინიკო მართლაც სულ მალე გადმოიყვანეს მახარაძის საბავშვო სახლიდან. ჰოდა, ამის შემდეგ ვოვა და ნინო როზიტაშვილებს ცალცალკე ვეღარ დაინახავთ...

### შუადღე

ბავშვები სკოლიდან დაბრუნდნენ. ახლა ხელებს იბანენ და სასადილოსკენ გარბიან. სასადილოს ღია კარიდან თეფშების და დანაჩანგლის ჩხარუნი ისმის. საბავშვო სახლის დირექტორი სამზარეულოდან გამოდის. ყველაფერი რიგზეა. სადილის შემდეგ ძილის საათი იწყება. მავრა მთავარი კორპუსისკენ მიდის. ფოსტალიონს კიბესთან ხვდება და წერილებისა და ჟურნალ-გაზეთების დასტას ართმევს.



ამ კონვერტზე მერის ხელწერაა და, როგორც ყოველთვის, ამ ბარათს პირველად ხსნის. დიდი ხნის წინ ჩამოიყვანეს კოჯრის პირველ საბავშვო სახლში მერი ჯაფარიძე, ობოლი სვანი გოგო. სკოლა აქ დაამთავრა და პიონერხელმძღვანელად მუშაობდა ერთხანს. მერე დაუსწრებლად დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი, გათხოვდა და სვანეთს დაუბრუნდა. ახლა მესტიაში მუშაობს, წრეს ხელმძღვანელობს პიონერთა სახლში.

ლამაზი და ცქრიალა სახე ჰქონდა. ღიმილი იცოდა ისეთი მადლიანი, არასოდეს რომ არ დაგავიწყდება. ფოტოალბომში ბევრია მისი სურათი. მაგრამ სურათში ისე ლამაზი არ გამოდის მერი.

...ნეტავ, სად არიან ახლა ძმები ნიკო და ავთო კურატაშვილები? რამხელანი გაიზრდებოდნენ. აქ რომ ჩამოვიდნენ, მაშინ კი სულ პატარები იყვნენ — 5 და 6 წლის.

მათი მამა სამხედრო იყო და ოჯახი რუსეთში ცხოვრობდა. სამამულო ომის დაწყების პირველი დღიდანვე ფრონტზე გაიწვიეს ოჯახის უფროსი. რამდენიმე დღის შემდეგ კი ჯოჯოხეთი დატრიალდა ქალაქში, სადაც მისი ცოლ-შვილი ცხოვრობდა. ღამე საზარელმა გრიალმა გააღვიძა სოლომონის ცოლშვილი. ფანჯრის მინები ზრიალით ცვიოდა იატაკზე, ქუჩაში ხანძარი მძვინვარებდა. ტირილით, კივილით მირბოდნენ ბავშვიანი ქალები. როგორც იქნა, მიაღწიეს მატარებლამდე, გაჭირვებით მოთავსდნენ. დედას არ დაუძინია არც დღე, არც ღამე. დედა სხვანაირი გახდა, ბავშვებს ეშინოდათ მისი შეხედვის. ის იჯდა და რაღაცას გაუთავებლად ჩურჩულებდა...

როგორც იქნა ჩამოაღწიეს თბილისში. დედა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს, ბავშვები კოჯრის მეცხრე საბავშვო სახლს ჩააბარეს. მავრა მაშინ ამ სახლის გამგე იყო.

როცა სოლომონმა ქალაქის დაბომბვა გაიგო, შვებულება აიღო და თბილისისკენ გამოეშურა. თავისი სახლის კარი გამოკეტილი დაუხვდა. მეზობლებისგან შეიტყო, რომ ცოლი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გარდაცვლილიყო.

ამის შემდეგ თავის შვებულებას კოჯორში ატარებდა ხოლმე ლეიტენანტი კურატაშვილი, ვიდრე ერთხელ ცნობა არ მოვიდა: გმირულად დაიღუპაო...

უჰ, რა წლები, რა მძიმე წლები იყო. ობლებით გაივსო ქვეყანა. ფრონტელთა შვილებს მაინც არაფერი აკლდათ ამ შიმშილის და სიცივის წლებშიც. ყველაფერი საუკეთესო მათთვის იგზავნებოდა. ზედიზედ მოდიოდნენ კომისიები მათი ცხოვრების პირობების შესასწავლად და ყველაზე მეტი მადლობა სწორედ იმ წლებში მიიღო მავრა მგალობლიშვილმა, როგორც პატიოსანმა და თავდაუზოგავმა მუშაკმა.



### საღამო

ბავშვთა სახლს სტუმარი ეწვია — ცნობილი შვეიცარიელი ჟურნალისტი და გამომცემელი შარლ-ანრი ფავრო. ეზო სიმღერით ივსება — ბავშვები სტუმარს თავიანთ ხელოვნებას აჩვენებენ. აღტაცებული ჟურნალისტი ხელებს იფშვნეტს და ცდილობს „სულიკოს" ხმაააყოლოს. როცა ცეკვა-სიმღერა მთავრდება, ის სათვალეს გულის ჯიბეში იდებს და ბავშვებთან ერთად ისიც ბავშვივით დარბის ნაძვნარში, სულმოუთქმელად არბის სასრიალოს კიბეზე და ყიჟინით ეშვება ძირს. მას მხიარული და კმაყოფილი სახე აქვს და აღარ უნდა ქალაქში დაბრუნება.

ღამდება. ბავშვები დასაძინებლად დაწვნენ.

ჩვენ სახლის წინ სკამძელებზე ვსხდებით. შვეიცარიელი ჟურნალისტი სახლის კიბეებზე ადის და განათებული ოთახის კარს აღებს. ის ფანჯარასთან მდგომ მაგიდას უჯდება და წერას იწყებს. წერს, დროდადრო სარკმელთან მოსულ სიბნელეს აშტერდება და ტუჩებს ამოძრავებს.

შთაბეჭდილებათა წიგნში ფრანგულად იწერება:

„ მე ვნახე ბავშვები, რომლებიც მღეროდნენ, ცეკვავდნენ, მეცადინეობდნენ და ისვენებდნენ.

მე ვნახე მშვიდად მძინარე ბავშვები აქ, სუმბათაშვილის ყოფილ სასახლეში და ამ საღამოს მე მინდა წარმოვიდგინო ყველა სასახლე, სადაც ასე მშვიდად დაიძინებენ ბავშვები...

შარლ-ანრი ფავრო,

ჟურნალისტი ლოზანადან".

ეზოში ბნელდება და ჩამუქებულ მინდორს და ხეებს მთვარე ვერცხლისფრად ათოვს. ჩვენ ერთად ვტოვებთ შუქ-ჩრდილებით სავსე ეზოს და გზატკეცილზე გამოვდივართ. თეთრხალათიანი ქალი ჭიშკართან გვემშვიდობება და სახლისკენ მიდის.

* * *

„როგორი იქნება შვილი ჩემი?" —ასე იწყება უმშვენიერესი პოემათა შორის, ჩილელი პოეტი ქალის გაბრიელა მისტრალის „დედათა პოემები".

ქალი, რომელსაც ჩვენ ახლა გავშორდით, არ წერს შთაგონებულ სტრიქონებს, ის არასდროს არ გახდება ნობელის პრემიის ლაურეატი.

ის შუაღამემდე სქელ დავთრებს და საანგარიშოს უზის. მისი საზრუნავი უფრო მიწიერია: ხვალინდელი მენიუ, საყიდი ფეხსაცმელები, ყივანახველა, საკვირაოდ ცირკში ბილეთების შეძენა...

მე მას დავშორდი, მაგრამ მაინც ვხედავ:

ძალიან გვიან ის ერთხელ კიდევ გამოდის თავისი ოთახიდან და მთვარით განათებულ სახლში შედის. ყველა საძილე ოთახს დაივლის ძილში მომღიმარე ამ მოღრუბლულ სახეებს აცქერდება დაჟინებით.

როგორი იქნებიან ისინი — აგერ, ამ ოთახეპში რომ სძინავთ, როგორები დაიზრდებიან, რას მოუტანენ ადამიანებს?

„ როგორი იქნება შვილი ჩემი?..."

**ნანული ბარათაშვილი**



# ექიმის თანაშემწე

მაშინ მალარია მძვინვარებდა სოფელ კუმისში. კუმისის ტბის ახლო-მახლო მდებარე ადგილები ჭაობებს დაეფარა. თბილისის სამალარიო სადგურიდან კუმისში გაიგზავნა მედიცინის მუშაკთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ექიმის თანაშემწე მინადორა ახვლედიანი-მდივნიშვილი. ჯგუფი მუშაობას შეუდგა. კუმისის ტბის მიდამოებში მალარიის საწინააღმდეგო ღონისძიებებს ატარებდნენ. გამხდარ, მალარიით დაავადებულ ბავშვებს რომ უყურებდა, მინადორა ამბობდა: „არა, მე არ შემიძლია მათი მიტოვება, აქ უნდა დავრჩე".

არ უღალატა თავის სიტყვას და დარჩა კიდეც.

რამდენი მღელვარე და უძილო ღამე ჰქონია მინადორა ახვლედიანს. რამდენისთვის შეუნარჩუნებია სიცოცხლე!

სულ ახალი დაწყებული ჰქონდა მუშაობა. სამედიცინო პუნქტში ახალგაზრდამ რომ მოირბინა: — ჩვენი მეზობელი პატარა გოგია ცუდად არის. ცუდად კი არა, ცოცხალს თუ მიუსწრებთ... — ვეღარ დაამთავრა მან.

ორ კილომეტრზე მეტი გზა თითქმის სირბილით გაიარა მინადორამ. სახლთან მიახლოვებისას, გოდების ხმა გაიგონა. ცუდი სურათი დაუხვდა მისულს. 11-12 წლის ბავშვი სველ მიწაზე დაესვენებინათ, თავთან სანთლები დაენთოთ, დასტიროდა ბებია ერთადერთ ნუგეშს და შველას ითხოვდა. მისულმა ბავშვი ლოგინზე გადაიყვანა, აღმოუჩინა სასწრაფო დახმარება და მერე სავსებითაც განკურნა.

ერთხელ გვიან ღამით წაიყვანეს მინადორა ქალის მოსალოგინებლად. მდგომარეობა მძიმე იყო. ან ბავშვი უნდა გადაერჩინათ, ან დედა. „ქალი გადავარჩინოთ, ბავშვს აღარ ვჩივით"— ჩურჩულებდნენ ახლობლები, შეშფოთებული იყო მინადორა, მაგრამ მაინც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ დედაც ეხსნა და ახალდაბადებული სიცოცხლეც.

რამდენიმე წელს მარტო უხდებოდა მუშაობა კუმისში მინადორა ახვლედიანს. აქ მხოლოდ ერთ ან ორ კვირაში ერთხელ ჩამოდიოდა სამალარიო სადგურის ბრიგადა მთავარი ექიმის ოლღა ანანიაშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც სამედიცინო პუნქტს ამარაგებდა საჭირო მედიკამენტებით, ექთანს რჩევა-დარიგებას აძლევდა და უკან ბრუნდებოდა.

მას შემდეგ 25 წელი გავიდა. გაუმჯობესდა ცხოვრება და სამედიცინო მომსახურება კუმისში. მინადორა მარტო აღარ არის კუმისში. სოფელს სამედიცინო პერსონალი შეემატა.

დაუფასეს, ნამდვილად დაუფასეს კუმისელებმაც ამაგი. რამდენჯერმე აირჩიეს სასოფლო საბჭოს დეპუტატად. თავიანთ პირველ მკურნალად ისინი მინადორა ახვლედიანს თვლიან და სოფლის დედას ეძახიან.

**დოდო ნანობაშვილი**

# სახლმმართველი



ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში მრავალი ქუჩაა, — ფართო, კეთილმოწყობილი, მწვანე ნარგავებით დამშვენებული... მთაწმინდის ძირში კი ძველებურ ქუჩაბანდებსაც შეხვდებით; მოკირწყლულ, ვიწრო გზაზე მოხარატებული აივნები გადმოკიდულან. გგონია, კარი გაიღება და აივანზე ჩიხტა-კოპით დამშვენებული მანდილოსანი გამოგოგმანდება, სოსნისფერი კაბითა და თეთრი სარტყელგულისპირით. წყაროსუბნიდან გრილი ნიავი მოჰბერავს, აჟრიალდება დაირა... შებინდებისას მთაწმინდის კალთებს ფერმკრთალი მგოსანი აჰყვება, იქიდან გადახედავს ჩამავალ მზეს, იისფერ ზეცას, ვერცხლისფერ მტკვარს... მერე ისევ დაეშვება ქვევით, ფლატეებს ჩაივლის, ალიზის ქოხმახებთან ჩაივაკებს. შავოსანი დედაბერი ძეძვზე დაფენილ, დაკონკილ სარეცხს წამოჰკრეფავს. შველივით გოგონა წყაროსთან ჩადგება რიგში, კოკას მხრიდან ჩამოიღებს... ასე იყო ძველად.

დღეს მთაწმინდის უბანს სურს იყოს სანიმუშო, კეთილმოწყობილი. ასე სურთ ადამიანებს, რომლებიც მის კალთას შეჰფარებიან, აქ ცხოვრობენ, მსახურობენ... ვეძინის ქუჩა, მთაწმინდის ქუჩა, ბესიკის ქუჩა, ყიფიანის, კოტე მესხისა. ყოველდილით ამ ქუჩებიდან ეშვებიან დიასახლისები ხელჩანთებით. მერე დატვირთული ბრუნდებიან უკან. ოჯახის მამა სამსახურშია, შვილები —- სასწავლებელში. მათ უნდა დახვდეთ გემრიელი კერძი, სუფთა ბინა, მაგრამ დიასახლისს სხვა საქმეც აქვს: იგი სახლის დამხმარე საზოგადოებრივი კომიტეტის წევრია, არჩეულია უბნის მცხოვრებლების მიერ. მან აუცილებლად უნდა იპოვოს დრო, მივიდეს სახლმმართველობაში და შემდეგ კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად დაიაროს უბანი, შეამოწმოს სანიტარული მდგომარეობა ეზოებში, მათი კეთილმოწყობა. ამ რამდენიმე ხნის წინათ ყიფიანის ქ. № 11-ში კანალიზაციის ძველი მილების გამოცვლა დაიწყეს. წყალმა გზა იპოვა და მეორე ეზოში გავიდა. ნეტავ, როგორაა საქმე? დამთავრდა თუ არა ახალი მილების ჩალაგება? და დიასახლისი პოულობს დროს: მიდის კოტე მესხის ქუჩაზე მდებარე № 54-ე სახლმმართველობაში.

შუატანის, ცოცხალი სახის ქალი— სახლმმართველი ქსენია კალაძე მაგიდასთან ზის. მასთან სახლის დამხმარე საზოგადოებრივი კომიტეტის სხვა წევრებიც არიან: გენადი მიქაია, ქსენია აფაქიძე, ანდრო გოფოძე, ნინო თათარაშვილი. სახლმმართველი კომიტეტის წევრებს ესაუბრება. მას კალინინის რაიონის სარემონტო კანტორიდან შეატყობინეს, რომ უბანში. ერთერთი სახლის კაპიტალური რემონტი უკვე დამთავრებულია. საჭიროა სახლის ჩაბარება. ქსენია კალაძემ ინჟინერს განუცხადა — არ ჩავიბარებთ სახლს ისე, თუ საზოგადოებრივი კომიტეტის წევრებმა არ ნახეს და არ შეამოწმესო. და, აი, დღეს, ადვილად შეიძლება ამ ადამიანებმა უარი თქვან გარემონტებული სახლის ჩაბარებაზე. ასეც მოხდა. ატყდა დავა, სარემონტო კანტორას მისცეს შენიშვნები ხარვეზების გამოსასწორებლად.

კომიტეტის წევრები იშლებიან, სახლში ბრუნდებიან. ბრუნდება სახლმმართველიც, ოღონდ სახლში კი არა— სამსახურში. გზაზე დრო რჩება ფიქრისათვის. მაგრამ ეს ფიქრი კვლავ უბანს დასტრიალებს. აი, ობოლაძის ქ. № 11. აქაც კაპიტალური რემონტია ჩასატარებელი. ეს იოლი როდია, საჭიროა საქმის ფეხდაფეხ მიყოლა. არსენას ქუჩა № 4-ში კაპიტალური რემონტის შემდეგ წყალგაყვანილობა დარჩა შესაკეთებელი. სახლმმართველობამ საკუთარი ხარჯით შეაკეთა იგი, ჩამოკიდა ალაყაფის კარი. მთაწმინდის 6. ვეძინის 12. კოტე მესხის 8... ამ სახლებს უკვე შეიძლება გულმშვიდად ჩაუაროთ. აქ შარშან ჩატარდა რემონტი.

სახლმმართველობაში ქსენია კალაძეს სახლის რამდენიმე რწმუნებული ხვდება. აქ არიან არსენას ქუჩა № 4-დან. დასადგმელია საერთო აბაზანა. კაცმა რომ თქვას, ეს არ შედის სახლმმართველობის კომპეტენციაში. მაგრამ საჭიროა მცხოვრებლებს აქაც შეუწყო ხელი, ეცადო დააკმაყოფილო მათი მოთხოვნილება.

ილევა ხმაურიანი დღე. მთაწმინდის ხევებს ჩრდილი ეპარება. მთავრდება სამსახურის საათები. სახლმმართველი ეყრდნობა სკამის ზურგს, თვალებს ხუჭავს და ყურს მიუგდებს ქვევიდან მოძავალ ქალაქის გუგუნს. ამ გუგუნში იგრძნობა გაზაფხულის ხმები, პირველი ყვავილებისა და გაფუებული მიწის სუნი. ასეთი სურნელი იდგა იქ, მშობლიურ სოფელ ეწერში. დარბოდა ხნულებში პატარა, ფეხშიშველი გოგონა და პირველ ყვავილებს აგროვებდა — თეთრკაბა ენძელებს, მორცხვ ფურისულებს... მას შემდეგ სწავლა, შრომა ოჯახში, გარეთ... და ყველგან, სადაც მივიდა, ყურადღებისათვის ადამიანთა მადლობას იმსახურებდა. ახლა, აგერ, თხუთმეტი წელია, რაც ამ სისტემაში მუშაობს, ცდილობს შეძლებისდაგვარად დაეხმაროს უბანს. მცხოვრებნი აფასებენ მის კეთილსინდისიერებას, გულისხმიერებას. ამიტომაც აირჩიეს კალინინის რაიონული საბჭოს დეპუტატად. რაიონის ხელმძღვანელობა ქსენია კალაძეს იცნობს როგორც ენერგიულ მუშაკს, ნამდვილ კომუნისტს. საბინაო განყოფილების პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობაც სწორედ მას მიანდეს ამხანაგებმა.

ზოგჯერ სახლმმართველს მცხოვრებთა სულში ჩახედვაც უხდება, მათ შორის ჩამოვარდნილი უსიამოვნების გაქარწყლება... გაწიწმატებული ქალი უხეშად ექცევა მეზობლებს, დაუმსახურებლად აყენებს შეურაცხყოფას. ვინ ვის მხარეზეა, ვინ ვის ამტყუნებს. საჭიროა ამ საქმის მოვლა, წესრიგის დამყარება. მოდით, ნუ ჩავრევთ ამ საქმეში მილიციას, სხვა ორგანოებს. აქვე, ამხანაგურად გავკიცხოთ დამნაშავე, მოვარიგოთ მცირე მიზეზის გამო წაკინკლავებული მეზობლები. დაე, ამხანაგურმა სასამართლომ განიხილოს ეს საქმე, სახლმმართველობასთან შექმნილმა სასამართლომ. აქ ხომ გამოცდილი ამხანაგები არიან გაერთიანებული და ამხანაგური სასამართლო სრული სერიოზულობით უდგება საქმეს. ძნელია და სამარცხვინო საქმე იქამდე მიიყვანო, რომ შენი მეზობლების გაკიცხვა დაიმსახურო. დღეიდან ეცდები აღმოფხვრა მცირე უსიამოვნებაც კი. მეზობლებთან რომ მოგივიდა, ამხანაგური სასამართლო ხელწერილს გართმევს, რომ ამიერიდან ეს აღარ გამეორდება... ხელწერილი დადო ახალგაზრდა კაცმაც, რომლის საქმე რაიონის მილიციის განყოფილებამ გამოუგზავნა უბნის ამხანაგურ სასამართლოს. იგი ბილეთებით ვაჭრობდა კინოთეატრის შესასვლელთან. სასამართლომ გაკიცხა უსაქმური ახალგაზრდა, მოუწოდა პატიოსანი შრომისაკენ. ამბობენ—ახალგაზრდა გამოსწორდა, გაამართლა მეზობლების ნდობაო...

ბესიკის ქუჩაზე ელნათურები კიაფობენ, ქვევით რუსთაველის პროსპექტი ხმაურობს. იქითკენ ეშვება მოღლილი სახლმმართველი და მიაქვს ახალი საზრუნავი: საჭიროა, წელსაც, როგორც შარშან, საბავშვო მოედნის მოწყობა: მთაწმინდის უბანში იზრდებიან, იცინიან, დარბიან, ცელქობენ ჩვენი ბავშვები. მშობლებს უნდათ თავი მოუყარონ ამ ბავშვებს ერთად, შეურჩიონ ფართო ეზო, მოუწყონ ხელბურთის სათამაშო მოედანი, მაგიდის ჩოგბურთი... და ამ საქმეში მშობლებს გვერდში აუცილებლად ამოუდგება სახლმმართველი.

ნაზი კილასონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კალისტა

თეთრი სუდარა აცვია მიდამოს. ფიქრმოხვეული მთები ბნელ ხეობას ნაღვლიანად გადაჰყურებენ. მშფოთვარე ქარი ამაოდ როდი ცდილობს შავ გომურებს თავი შეაფაროს, ახერხებს კიდეც: ხის უსწორმასწორო საძირკველზე მიკრულ ნაბდის ნაგლეჯს უხილავი ხელით გადასწევს, ბუხრის მჭვარტლიან საკვამურში აიტაცებს ვარდისფერ ალს და კაცის ნატეხზე ანთებულ ბაზმას უმალ ჩააქრობს...

— არ იქნა, აღარ დაადგა გათენებას საშველი, — ამოიკვნესებს თავითფეხებამდე შავებში გახვეული ახალგაზრდა ქალი, ავადმყოფი ბავშვის მხურვალე შუბლს ერთხელ კიდევ მოსინჯავს ბაგით, მერე ელდანაკრავივით ზეწამოიჭრება, დედამთილის ნაქონ ჭრელ შალს საკარცხულში მიაგდებს და ხელაპყრობით შესთხოვს განგებას, რათა ბატონებმა ხელიდან არ გამოსტაცოს უკანასკნელი იმედი...

მაგრამ როდი უსმინა განგებამ...

ბავშვის სიკვდილს არ შეუძრავს, არ შეუშფოთებია სოფელი. იგი ბევრისთვის ნაცნობი იყო, უფრო მეტისთვის—მოსალოდნელი. ახლა ძვირად თუ ნახავდით ოჯახს, სადაც არ იკერებოდა წითელი პერანგი, არ იმღერებოდა „იავნანა"...

სიმღერა სიკვდილის წინ!

რაღაც ძალამ გაამაგრა შაოსანი. ახლაც რომ ჰკითხოთ კალისტას, დაგარწმუნებთ — ქალი მუდამ იდუმალი წინათგრძნობით ცოცხლობსო.

ახლა კალისტას წინათგრძნობა. როგორც შვებას, ხსნას, ისე შეხვდა კალისტა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას.

ამ დიდმა სიხარულმა მისი გული მონახა, აზრი მოაკრეფინა, ხალხი მოაგონა, ფეხქვეშ მიწა აგრძნობინა.

ცრემლები წიგნებმა დაავიწყეს.

საფლავები — ქოხსამკითხველომ და ალმასკომმა.

უშვილძირობა და უიმედობა — კომუნისტური პარტიის მანდატმა.

შენდებოდა სოციალიზმი რაჭის მაზრის ყველა კუთხეში, მაგრამ ონის რაიონის მაღალმთიან სოფელ შქმერში კოლექტივიზაციის საკითხი გადაუჭრელი რჩებოდა.

„აულებელი ქვეყანა. თავი ვის მოსძულებია, ამ საკითხს შეეწიროსო", — ხელისჩაქნევით იტყოდა ხოლმე ზოგიერთი ურწმუნო.

და არავინ მოელოდა, რომ პირველ სიტყვას ერთობაზე სწორედ ის იტყოდა, ვინც ცოტახნის წინათ კინაღამ საკუთარი მაზლის ნაჯახის წვერა გახდა — „სამანი ამოგიძვრიათ, ყანის პირი სწორად არ გაგიკვეთავთ, შეგიხნავთო"...

ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი თვალხარბი და მიწისმჭამელი ცხოვრობდა სოფელში! მაინც რა ძალა ჰქონდათ ამ ერთ მუჭა, წვრილმესაკუთრული შხამით მოწამლულ ბობოლებს! რით შეიძლებოდა მათი დარწმუნება, მათი დაჯერება? მხოლოდ პირადი მაგალითით, საკუთარზე ხელისაღებით, ქადაგებით, აგიტაციით...

რამდენჯერ ცხარე ცრემლით ატირეს, ლურჯა ნაჯახით დაუჩეხეს, იორღა უნიშნოდ მოჰპარეს, შვილივით გამოზრდილ მოზვერს ყელი გამოუჭრეს; ემუქრებოდნენ, ფეხქვეშ ორმოს უთხრიდნენ, მაგრამ ვერ გასტეხეს „რკინის ეშმაკი", რწმენა ვერ შეაცვლევინეს, ვერ აჯობეს...

დღისით შრომითა და, ხშირად ლექსების წერითაც იქარვებდა ნაღველს, საღამოს წერა-კითხვის უცოდინარებთან მეცადინეობდა, წარმოდგენებს მართავდა, ლიტერატურულ გასამართლებას აწყობდა, ანტირელიგიური ხასიათის საუბრებს ატარებდა...

—ნაადრევად აიხადე თავსაბური,—აუყვირდებოდნენ ხოლმე პროვოკატორები საერთო კრებაზე, — ღმერთი შესაწირავს მოითხოვს და არ გვანებებ მივართვათ! ქვეყანას გვალვა ფიტავს, ქარის მოტანილი, ქარს მიაქვს.

კოლექტიურმა შრომამ თავისი შედეგი გამოიღო. ბარაქა და დოვლათი დატრიალდა კოლმეურნეთა ოჯახებში. შრომის ნაყოფი იმდენი მიიღეს, რამდენსაც არავინ ელოდა.

ხალხს ხალისი შეემატა, ხელმძღვანელობას მხნეობა.

არასოდეს არ იყო კალისტა მარტო. სოფლად ულარიბესი გლეხობისა და მცირერიცხოვანი ინტელიგენციის უსაზღვრო მხარდაჭერას გრძნობდა, რაიონული ცენტრიდან — პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივისას.

1921 წლიდან მოყოლებული 1947 წლამდე კალისტა თედორეს ასული დაუშვილი ახალი ცხოვრების ფერხულში ფეხმოუცვლელად იდგა, იმ მცირეოდენი განსხვავებით, რომ საკოლმეურნეო მშენებლობის ურთულეს პერიოდში კოლმეურნეობას თავმჯდომარეობდა, დიდი სამამულო ომის პერიოდში — სასოფლო საბჭოს.



არასოდეს არ დაავიწყდება კალისტას ახალგაზრდები, რომლებსაც შვილივით იკრავდა მკერდში ფრონტზე გამგზავრების წინ და რომლებსაც შინ დაბრუნება აღარ ეღირსათ.

200 წითელარმიელის ოჯახი ჰყავდა საპატრონო და საყურადღებო! — უკლობა არ შეგვეტყოსო — და ისიც ისევე შრომაში ათევდა ღამეს, როგორც მათი დედები, ცოლები, შვილები — უქსოვდა თბილ წინდებს, უგზავნიდა გამამხნევებელ წერილებს, საჩუქრებს. კოლმეურნეობის სახელით ტონობით პროდუქტი უფასოდ ეგზავნებოდა ფრონტს.

...მის საქმეებს ახლა სხვა აგრძელებს. სხვა ხელმძღვანელობს კოლმეურნეობასაც, სასოფლო საბჭოსაც. სოფლის კეთილმოწყობილ საავადმყოფოში, სკოლაში, სასოფლო საბჭოში, საკოლმეურნეო კლუბსა და კანტორაში, ბიბლიოთეკაში — ყველგან მისი გაზრდილები, ყველგან ადგილობრივი კადრები მუშაობენ...

დილით სამუშაო ნაკვეთზე ჩამოარიგებს კოლმეურნეებს მანქანის მძღოლი, საღამოს მთელი უბნის დიდ-პატარას კინოში წაასხამს; კალისტაც მათთან არის...

...ერთმანეთს ენაცვლებიან კინოკადრები. ეკრანზე იშლება ჩვენი ბედნიერი ცხოვრების დიადი წიგნი, გელიმება შენ, ძვირფასო და ამაგდარო კალისტა, გეცნობა მისი თვითეული გვერდი, — თავად, ხომ ამ უმშვენიერესი წიგნის ცოცხალი თავფურცელი ხარ!

**თამარ დაუშვილი**

# სპილენძის ქალაქი

ჩვენ გადავიხდით ქორწილს. მეცმევა თეთრი, გამჭვირვალე კაბა. გოგოები მომიტანენ ყვავილებს. წითელ მიხაკს გავიკეთებ თმაში, — ქალიშვილი ამას მხოლოდ ფიქრობს და ჩუმად მიყვება ვაჟს. დეკემბრის ქარი მათ ეწევა ხიდთან და ფეხს აჩქარებინებს. ისინი არ ლაპარაკობენ, მხოლოდ ზოგჯერ ჩერდებიან და კითხულობენ: „გიყვარვარ?"

— „მიყვარხარ", პასუხობს ახლა ვაჟი.

ქალიშვილი აღარ ფიქრობს თუ რა იქნება ხვალ. ის კმაყოფილია და აგრძელებს ფიქრს. ვაჟმა კი იცის, რომ ხვალ მას ეყოლება ცოლი. ისინი გაყვებიან გეოლოგიურ პარტიას და წავლენ მთაში...

ბევრს გაუკვირდება მათი ქორწინება, რადგან ვერ მოიგონებენ, როდის მოასწრეს გულის გახდობა კალათბურთელთა გუნდის კაპიტანმა დარეჯან გრიგოლაშვილმა და მისმა თანაკურსელმა თემური ბექუაშვილმა.



პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელთა სახელი ქუხდა რესპუბლიკაში. ისინი მაგრად უტევდნენ სტუდენტებს სხვადასხვა ქალაქებში. მათ ჩამოჰქონდათ ჯილდოები, წარმატებები. მერე დარეჯანი გახდა სპორტის ოსტატი. ყველას ეგონა, რომ ის თავის მოწოდებას ხედავდა სპორტში, მაგრამ...

ხვალიდან დარეჯანი გვარს შეიცვლის და ქმართან ერთად დასტოვებს ქალაქს. მათ ელის მიწაში ჩაბნეული სიმდიდრე. ისინი იპოვნიან რკინას, სპილენძს, თუთიას...

* * *

პირველი თოვლი მოვიდა მთაში. თოვლს მოყვა გეოლოგიური პარტიის გამოჩენა. დაბალ ფიცრულში დაბანაკდნენ მადნის მაძიებლები, გვერდი-გვერდ მიადგეს საწოლები. ერთი პატარა ოთახი ახალდაქორწინებულებს ერგოთ. თავლის დღეებს ატარებდნენ სპეცტანსაცმელში გამოწყობილ ადამიანებთან ერთად, მადნის ძებნასა, გულისძგერასა და მოლოდინში.

მთა არ იშურებდა თოვლს. გეოლოგები არ იზოგავდნენ თავებს. მიწის ქანებში ჩადიოდნენ ბურღები და ყოველ ახალ ამოსროლილ ქანს იკვლევდნენ გულდაგულ. მიწის გულში სპილენძი იდო, ნელა და თანდათან იზრდებოდა მისი მარაგი.

ბურღები ჩადიოდნენ სულ უფრო ღრმად. დარეჯანი და თემური სხვადასხვა უბანზე იდგნენ. მუშებს დარეჯანთან მოჰქონდათ ახალი და ახალი ქანი. იგი მაშინვე ახდენდა მის დოკუმენტაციას, აზუსტებდა მდებარეობის სიღრმეს, იკვლევდა გამადნებას, მასში შემავალი სპილენძის სამრეწველო მნიშვნელობას.

მოშორებით ბიჭები ანთებდნენ ცეცხლს. ცეცხლზე თბებოდა გაყინული ხელები. მერე ისევ ტრიალებდა გამთბარ თითებში სპილენძით დაწინწკლული ვერცხლისფერი ქვა, რომელშიც მოქცეული იყო აქ მომუშავეთა იმედები. დარეჯანი არ აცრუებდა ამ იმედებს, სპილენძის მარაგი დიდი იყო და მისი შესწავლა გრძელდებოდა.

ფიცრულში ატირდა ბავშვი. დეკემბრის თვეში დაიბადა მადნეულის გეოლოგიური საძიებო პარტიის ყველაზე უმცროსი „წევრი". ვაჟს ნიკოლოზი დაარქვეს. ის გახდა მთელი კოლექტივის საზრუნავი. დედა აჭმევდა ძუძუს, მამა ეზიდებოდა შეშას და საზრდოს. ხშირად დედის მაგიერ მამა ათევდა ღამეებს, ზოგჯერ დედა ისვენებდა და მამა არწევდა აკვანს. ბავშვის თავთან დაეკიდა საჩხაკუნეები, ციყვები. ბავშვი აკვიატდებოდა შავულვაშა, ვაჟკაცურ სახეებს. საღამოობით მას ისვამდნენ დაღლილ მუხლებზე, მერე წასვლისას უტოვებდნენ ვაშლს და ნიკოლოზი ტირილით აცილებდა სტუმრებს.

ასე გახდა ბიჭი სამი წლის. მის პირველ სიტყვებში გაერია „ბურღი" და „მადანი". ის სასეირნოდ დაჰყავდათ მუშებს და ბავშვი იძლეოდა ათასგვარ შეკითხვებს.

გეოლოგიური პარტია საცხოვრებლად ექვსი კილომეტრით დაბლა ჩამოვიდა. აქ მათ დახვდათ უკეთესი პირობები — ახალი ბინები, სამზარეულო, გაზი, სკოლა, სასადილო, მაღაზია. დარეჯანს და თემურის ახალ სახლში შეეძინათ მეორე ვაჟი.

ხუთი წელია დგას მადნეულის საძიებო გეოლოგიური პარტია ბოლნისის ახლოს, მაშავერას ხეობაში. შუა ჩამოდის მდინარე და ზაფხულობით მრავლდება კალმახი. მარჯვნივ მდებარეობს სოფელი კაზრეთი, აქაურებს აქვთ ლამაზი ეზოები და ეზოებში ხეხილი. გეოლოგების ტერიტორიაზე შენდება ორსართულიანი კოტეჯები, ვერანდით და ფართო ფანჯრებით. მალე გაიჭრება ქუჩები. აღიმართება დიდი ქარხანა. დაიწყება მადნის დამუშავება. რამდენიმე წელიწადში აქ იქნება ქალაქი 25 ათასი მცხოვრებით.

ეზოში დარბიან დარეჯანის ბავშვები. მათ იციან, რომ დედას აქვს დიდი საქმე და უნდა იყვნენ ჭკვიანად.

— დედა, მიამბე ზღაპარი, — თხოულობენ საღამოს ბავშვები და დარეჯანი ყვება: „იყო და არა იყო რა"... ბავშვებს არ ეძინებათ და ბოლომდე უსმენენ: „ქატო იქა, ფქვილი აქა". ძილის წინ დედა პირდება, რომ ხვალ უამბობს ნამდვილ ამბავს.

მეორე დღეს ეს ნამდვილი ამბავი იწყება ასე: რამდენიმე ათასი წლის წინათ ამ ადგილას ცხოვრობდა ხალხი, მშრომელი, ღონიერი, ლამაზი, მათ იცოდნენ, რომ ერგოთ მადლიანი მიწა, სავსე უამრავი სიმდიდრით. ბევრი, ბევრი წლების წინათ ეს ადამიანები მიწიდან იღებდნენ რკინას, რკინისგან ისინი ჭედდნენ ხმლებს და ამარცხებდნენ მტერს, რკინისაგან ამზადებდნენ თოხებს და ირჩენდნენ თავს...

ნაამბობიდან ბიჭს ზოგი რამ არ ესმის და ძილში მიდის... მერე ხედავს შავულვაშა სახეებს, წელამდე შიშველ მზნიანავ ტანებს, უამრავ ხმლებს...

ქართლის ისტორია ძველი საუკუნეებიდან ყვება: „აქ ითხრების ლითონი რკინისა, სპილენძისა და ლაჟვარდისა".

და აქ აშენდება სპილენძის ქალაქი.

**ლია კაკაბაძე**



უცხოელი მხატვრები

ფილის ალტმანი

სამხრეთაფრიკელი მწერალი ქალის—ფილის ალტმანის სახელი საბჭოთა მკითხველისათვის უკვე ცნობილია. გამომცემლობა „ახალგაზრდა გვარდიამ" გამოსცა მისი მოთხრობა „[illegible] კანონი".

ალტმანის ძირითადი თემაა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გაბატონებული რასისტული რეჟიმის მკაცრი გამათრახება. ეს მოთხრობაც: „შაბათს, სადილობის შემდეგ" დამაჯერებლად გვიხატავს რასიზმის აღმაშფოთებელ სურათს, თეთრკანიანი „სუპერმენების" (მჩაგვრელების) დაუნდობელ თარეშს, რომელიც გაბატონებულია არა მარტო სამხრეთ აფრიკაში, არამედ ბევრ სხვა ეგრეთწოდებულ „თავისუფალი სამყაროს" ქვეყანაშიც.

# შაბათს სადილობის შემდეგ

მოთხრობა

ცხრამეტი წლის ჯაპი გრეილინგს შაბათი საუკეთესო დღედ მიაჩნდა. შაბათობით სახლში ყოველთვის სადილობის დროს ბრუნდებოდა. სწრაფად გადასანსლავდა დედის მიერ დამზადებულ საჭმელს, დედას და დას უკარავადო წაუბურტყუნებდა და სააბაზანოში გაუჩინარდებოდა. აქ იგი სამუშაო ტანსაცმელს გაიხდიდა, პირს დაიბანდა, კბილებს გაიწმენდდა და ყელში წყალს გამოივლებდა. შემდეგ ჩუმი სტვენით საძინებელ ოთახში შევიდოდა და კარადიდან სუფთა პერანგს გამოიღებდა. დღეს წითელი შავზოლებიანი პერანგი ამოირჩია, იასამნისფერი წინდები, ყავისფერი ფეხსაცმელი და ვიწრო მუქი მწვანე შარვალი ჩაიცვა, რომელშიც განძრევაც კი უჭირდა.

თმას ივარცხნიდა, როდესაც საძინებელ ოთახში დედა შემოვიდა.

— ისევ კინოში წასასვლელად ემზადები? — საყვედურის კილოთი ჰკითხა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედიკო, ხომ იცი, შაბათობით, სადილობის შემდეგ მუდამ კინოში დავდივარ.

-- კინო, კინო... იმ სიცხესა და სიბნელეში წაწყმედილ სურათებში ტიტლიკანა ქალებს უნდა უყურო?!

ჯაპიმ არაფერი უპასუხა. სარკისაკენ შეტრიალდა და ერთხელ კიდევ შეათვალიერა თავი. წარმოიდგინა ბნელი, დახურული დარბაზი. ეკრანზე სასიყვარულო კადრების ცვლა, გვერდით კი რომელიმე გოგონა მოქნილი ტანითა და ლამაზი, პატარა მკერდით...

— მამაშენი რომ ცოცხალი ყოფილიყო... როგორ უნდოდა. — წესიერი და ღვთისმოშიში ადამიანი გაეზარდე!

— ღმერთო ჩემო, რით არის ცუდი კინო?

— რატომ დამსაჯა ღმერთმა? — წამოიტირა დედამ.

შაბათი დღის ჩვეულებრივი სცენა გახლდათ — დედა კარს მიყრდნობოდა და უხმოდ ტიროდა. ჯაპი მივიდა მასთან და მხარზე ხელი დაადო:

— ნუ ტირი, დედიკო, ცოდვა ხომ არ არის კინოში სიარული. ყველა ჩემი ამხანაგი დადის.

— დედა კი გავიწყდება... მარტო მტოვებ... გენდრინაც ლეტისთან წავიდა. მამაშენი რომ ცოცხალი იყოს, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა, ახლა კი მარტო ვარ და ჩემს შვილებს ეს სულაც არ აწუხებთ.

— დედიკო, — ბრაზდება ჯაპი, — როგორ არ გვაწუხებს, მაგრამ რა უნდა ვქნათ? შენ არსად არ გინდა წახვიდე. რატომ არ მიდიხარ მაგალითად, ომასთან?

— ყოველდღე ხომ არ ვივლი?!

— რატომ გტოვებს მარტო გენდრინა? დარჩეს შენთან.

— გენდრინამ უნდა იაროს, უკვე ოცდახუთი წლისაა და გაუთხოვარია. სახლში რომ დაჯდეს, როგორღა შეხვდება თავის კავალრებს? არ მინდა იფიქრონ, რომ ხელს ვუშლი.

— ო კეი, არც მე გახლავარ ბებერი... ყველა ჩემი ამხანაგი სეირნობს...

— კარგი, წადი. დავრჩები მარტო, მივეჩვიე — დედამ ცრემლები მოიწმინდა. — წადი შენს კინოში.

— დედიკო, — ამშვიდებს ჯაპი, — ხვალ დილით მე და შენ ეკლესიაში წავიდეთ.

დედას სახე უნათდება და ეხვევა.

— ჩემო ბიჭუნა, — ჩურჩულებს იგი, — შენ ხომ კარგი ხარ...

ასე მეორდება ყოველ შაბათს: დედა ტირის, შვილი კი პირდება, რომ ეკლესიაში წაყვება. მომაბეზრებელი ამბავია! ისევ ამდენი დრო დაკარგა! ჯაპი კოცნის დედას, გამორბის სახლიდან და გაჩერებისკენ მიჰქრის, რომ იოჰანესბურგში მიმავალ ტრამვაის მიუსწროს. როგორც კი ვაგონში ჯდება, მაშინვე ავიწყდება დედასთან საუბარი და თავისი დაპირება.

ჯაპიმ და მისმა ძმაბიჭმა დანიელ ბოშოფმა მტკიცედ გადაწყვიტეს ერთსა და იმავე გოგონას ორჯერ არ შეხვდნენ, ამიტომ ყოველთვის ყურადღებით ათვალიერებენ სალაროსთან შეკრებილთ, კრიტიკულად ამოწმებენ ღიაფერის საზაფხულო კაბებში გამოწყობილ ცისფერთვალა გოგონებს. საბოლოო არჩევანის შემდეგ მიმართავენ ნაცად ხერხს:

-- უკაცრავად მისს — ეტყვის ჯაპი ან დანიელი რომელიმე გოგონას, — დაგვაგვიანდა, ყველას, ალბათ, არ ეყოფა ადგილები. ჩვენთვისაც ვერ აიღებთ ბილეთებს?

გოგონები თხოვნას უსრულებენ.

ოთხი ადგილი ერთმანეთის გვერდით; ყველაფერი რიგზეა, შუქი ქრება, სიბნელეში ოფლიანი ხელისგულები ერთმანეთს ხვდება, შემდეგ წელზე შემოხვეული ხელი თანდათან მაღლა მიცურავს, მკერდისკენ. ხელის ქვეშ კი ქალიშვილის გული ფართხალებს...

ჯაპი სიამაყით ივსება; წესიერი კაცია, დედას ეკლესიაში დაჰყვება, მასზე ზრუნავს. მაგრამ მამაკაციც ხომაა და აქვს რაღაც მამაკაცური უფლებები — მას შეუძლია შეხვდეს ქალიშვილებს და სულაც არ არის ვალდებული, სახლში იჯდეს დედიკოს კალთასთან ბავშვივით.

დანიელს უკვე მოთმინება ელეოდა, როდესაც ჯაპი დათქმულ ადგილზე ტრამვაიდან გადმომხტა.

დანიელი ისეთივე ქერათმიანი მაღალი და მკერდგანიერი ბიჭი იყო, როგორც ჯაპი. მკრთალი, ვარდისფერი ხალათი, ღიალურჯი შარვალი, მწვანე წინდები და შავი ფეხსაცმელი ეცვა, კულულები შუბლზე ჩამოშლოდა.

— დაგაგვიანდა, მეგობარო! — უთხრა დანიელმა. — კინოში შეშვება უკვე დაიწყო.

ჯაპიმ ქუჩას გახედა და დარწმუნდა, რომ დანიელი მართალი იყო. ჩვეულებრივ, შაბათობით, დღის მეორე ნახევარში, იოჰანესბურგში ცოტა ხალხი იყო, თვით ცენტრიც კი უკაცრიელი ჩანდა. მაღაზიები დაეკეტათ. დარაჯები იდგნენ მხოლოდ შესასვლელებთან.

— საწყენია, — თქვა ჯაპიმ, — ისევ უსიამოვნო ლაპარაკი მქონდა დედაჩემთან.

ჩქარი ნაბიჯით დაიძრნენ.

გვერდით ხელიხელჩაკიდებულმა წყვილმა ჩაიარა. ქალიშვილი მაღალი, ტანწერწეტა, შავკულულებიანი გოგონა იყო, მისი თანამგზავრი კი, რაღაც ვერ გამოიყურებოდა რიგიანად: ყელი და ხელები ყავისფერი ჰქონდა...

— ღმერთო ჩემო, — თქვა ჯაპიმ — შეამჩნიე?

— რა თქმა უნდა! — ბრაზნარევი ხმით უპასუხა დანიელმა, — თეთრკანიანი ქალიშვილი ვიღაც არარაობასთან... ასე აშკარად, ქუჩაში, აქ, იოჰანესბურგში, ხელიხელჩაკიდებულნი...

-- წამოდი! — უთხრა დანიელმა ჯაპის. საეჭვო წყვილს გადაუსწრეს, კვარტალის ბოლოს შეჩერდნენ და დაელოდნენ. საეჭვო არაფერი იყო: ქალიშვილი თეთრკანიანი იყო, კაცი კი — ბინძური ზანგი. დანიელი გაცოფდა, როდესაც დაინახა, რომ ამ მურიანმა ზანგმა თავისი თათი დაადო გოგონას თეთრ ხელს, სწორედ ისე, როგორც თვითონ აკეთებდა. ჯაპიმ კბილები გააკრაჭუნა. ისინი ტროტუარის შუაგულში გადაუდგნენ წყვილს.

— მაპატიეთ, — თქვა მამაკაცმა.

— მე შენ გაპატიებ, ნაბიჭვარო! — მიახალა ჯაპიმ, სწრაფად ასწია ხელი და მთელი ძალღონით სთხლიშა მამაკაცს სახეში. დარტყმა ყვრიმალსა და ცხვირში მოუვიდა. ითქრიალა სისხლმა. კაცმა თავი დაღუნა, რომ დარტყმები აეცდინა. ქალიშვილმა ცივი ხმით დაიყვირა:

— შეწყვიტეთ, გეყოფათ, რატომ სცემთ?

— ეს ჩვენ ვიცით რატომაც! — თქვა დანიელმა, — ჩაავლო კაცს საყელოში ხელი და დაუზოგავად ამოარტყა ნიკაპში. კაცი თავით კედელს მიენარცხა, — ჩვენ ვასწავლით მაგას, როგორ უნდა ისეირნოს თეთრ გოგონებთან!

ამასობაში ხალხიც შეგროვდა — ტრამვაის მძღოლები, კონდუქტორები, რამოდენიმე თეთრკანიანი ყმაწვილი და ქალი.

მოშორებით რამდენიმე ზანგი იდგა ჩუმად. დანიელმა ხელები გაუკავა კაცს, ჯაპი კი სახეში ურტყამდა და ყოველ დარტყმაზე თანდათან შმაგდებოდა... სისხლი უდუღდა.

— სწორია! ურტყი მაგას, ურტყი! — წამოიყვირა ვიღაც თეთრკანიანმა და ტაშიც კი შემოჰკრა.

ქალიშვილი განწირული ხმით ყვიროდა:

— შეწყვიტეთ, მეც ფერადკანიანი ვარ! გეყოფათ, წყეულო ღორებო, მეც ფერადკანიანი ვარ, გეუბნებით!

— პოლიციას დავუძახოთ, — უთხრა ვიღაცამ თავის მეზობლად მდგომს (შავკანიანებმა ყურები ცქვიტეს).

უცებ თვითონ ჯაპის მოხვდა თვალში ქალიშვილის შავი ჩანთა!

— მეც ფერადკანიანი ვარ, ფერადკანიანი, გეყოფათ!

დაღლილი ჯაპი შეჩერდა. როდესაც დანიელმა ხელი გაუშვა, კაცი ტროტუარზე დაეცა. ქალიშვილმა ჩაიმუხლა და სახიდან სისხლის მოწმენდა დაუწყო. კაცს თვალები დახუჭული ჰქონდა, სახე დასიებული, ცხვირი გატეხილი, ტუჩები დახეთქილი.

ხალხი თანდათან შეთხელდა. ვიღაც თეთრკანიანი ამბობდა:

— ნამდვილად უნდა დავუძახოთ პოლიციას. — ტრამვაის მძღოლებმა გაიცინეს და წავიდნენ. დარჩა შავკანიანების პატარა ჯგუფი და ის თეთრკანიანი, რომელმაც ადრე ტაში შემოჰკრა. იგი სულელურად აცეცებდა თვალებს. ჯაპიმ დახედა ნაცემ კაცთან ჩაცუცქულ ქალიშვილს, შემდეგ თავის გასისხლიანებულ ხელებსა და ხალათს. საკუთარი თავისადმი ზიზღი იგრძნო. რამ გამოაშტერა, რომ მსახური გოგო თეთრკანიან ქალიშვილად მოეჩვენა. ორივენი იდიოტები არიან — ისა და დანიელი! შორიდანვე ეტყობა, რომ ფერადკანიანია: მსხვილი ტუჩები, განიერი თეძოები, იაფფასიანი ღიაფერის კაბა.

დიდი სიამოვნებით მიტყეპავდა ახლა მასაც იმ დამამცირებელი სიტყვებისათვის.

ქალიშვილი უცებ წამოხტა, ხელები მაგრად დაუჭირა ჯაპის და შეჰკივლა...

— შენ სამაგიეროს მიიღებ, სასამართლოში გიჩივლებთ, ჩაგსვამენ!

ჯაპმა ხელები გამოსტაცა — უყურეთ ერთი ამ შავ ნაძირალას, სულ გათავხედდაო.

დანიელმა თავი დაუქნია: „წავიდეთ". წასვლა დააპირეს, მაგრამ ქალიშვილი ჯაპს ჩაებღაუჭა:

-- არა, ვერსად ვერ წახვალ, შენ უნდა დაგაპატიმრონ! — ჯაპი მოტრიალდა, მაგრად ჩაჰკრა ქალიშვილს მკერდში ხელი, კედელზე მიანარცხა და წავიდა.

დანიელი უკვე კუთხეს მოფარებოდა, როდესაც ჯაპი დაეწია. ორივენი გაიქცნენ. ორი კვარტალის შემდეგ საერთო სამრეცხაოში შევიდნენ, რომ ხელებიდან სისხლიანი ლაქები მოეცილებინათ და დაჭმუჭნილი ტანსაცმელი წესრიგში მოეყვანათ.

გზაში ერთი სიტყვაც კი არ უთქვამთ ერთმანეთისათვის. აქ კი ორივემ ხმა ამოიღო:

-- გვიანაა!

— ასე ვერსად ვერ წავალთ.

გულმოდგინედ იხეხავდნენ ხალათს და შარვალს, მაგრამ ლაქები უფრო შესამჩნევი ხდებოდა.

-- კაფეში ჩავიდეთ, — თქვა საყვარელი შაბათის ჩაშხამებით აღშფოთებულმა ჯაპმა.

— ჯობია სახლში წავიდეთ! — ხმადაბლა თქვა დანიელმა. მათ ჩუმად შეუხვიეს მოსახვევში და ტრამვაის უკანასკნელი გაჩერებისაკენ გაემართნენ.

ჯაპმა წარმოიდგინა როგორ გაუჭირდებოდა გასისხლიანებული ხალათი დედისთვის დაემალა.

— ღმერთო ჩემო, — გაიფიქრა მან, — ამ ხალათის გარეცხვა უსაყვედუროდ არ ჩაივლის, ჩამშხამდა დღე, სულ ჩამშხამდა!

ჯაპის ტრამვაი უფრო ადრე მოვიდა. როდესაც ვაგონში ჯდებოდა დანიელს უთხრა:

— თუ კიდევ შევხვდი იმ ბინძურ შავ გომბიოს, აუცილებლად ცხვირპირს დავუმტვრევ!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მთამსვლელის ქვრივი

— არა, ნამდვილად მძიმე ტვირთის ზიდვას ვბედავ. შევძლებ კი? ჯერ დედა არ ვყოფილვარ და სხვის შვილებს დედობას როგორ გავუწევ! მაგრამ რატომ სხვისი, როცა მათი მამა მეუღლე იქნება ჩემი. არა, ეს ჩემიანები რას გადამკიდებიან, რა უნდათ ჩემგან? მიყვარს და სიყვარულისათვის ყველაფერს გავაკეთებ, გავყვები კიდეც და მეუღლის პატივისცემისათვის მის ობოლ შვილებსაც საკუთარ შვილებად მივიღებ.

ამ განცდებით შევიდა დომნა ვეზდენი ილია გაბლიანის სახლში.

არც თოფების სროლა აუტეხიათ, არც მაყრიონს დაუგუგუნებია „ქალი მოგვყავს ნათელი“, არც ხმლებქვეშ გაუტარებიათ მეფე-პატარძალი, არც თეფში დაუდიათ ფეხქვეშ. არა, არ გავდა ეს საღამო სვანურ ქორწილს. ნათელი ქალი კი მოიყვანეს, მაგრამ რამდენიმე ქალი და მამაკაცი მოაცილებდათ მხოლოდ. შინაც რამდენიმე თალხით მოსილი დედაკაცი დახვდათ და სიტყვა შეაგებეს: „კეთილი იყოს. შვილო, შენი ფეხი ამ ოჯახში. აბა, შენ იცი. რა ქალობასაც გამოიჩენ, და ამ დედამკვდარ ბავშვებს თუ არ გაგვიმწარებ, ხომ კარგი. თუ არა და ეგეც შენს ქალობაზე იყოს“.

„დედამკვდარ ბავშვებს თუ არ გაგვიმწარებ“ — გულში მოხვდა დომნას. აკი, არც უფიქრია მათი გამწარება...

ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. როცა ბავშვების დაძინების დრო დადგა, მხოლოდ უფროსი გოგონა ციური აღმოჩნდა თავის ადგილზე. იგი ფერმკრთალი, შეშინებული შესცქეროდა ოჯახის ახალ წევრს, თითქოს მისი თვალები ეუბნებოდნენ: რად უნდა გვცემო. თუ კი ყველაფერს გაგიგონებთ და არ გაგაჯავრებთ?

დომნა მიუხვდა პატარას ფიქრებს, გული ეტკინა, მიუალერსა, დაუყვავა. მანანა და ბონდო მოიკითხა.

მანანა მაგიდის ქვეშ იპოვეს, ბონდო საწოლქვეშ შემძვრალიყო და ვერაფრით ვერ გამოიყვანეს.

მაშინ ხერხი იხმარა დომნამ.

— მე და ბონდო ერთად ვიქნებით, შენ და მანანა ერთად, — უთხრა მან ციურის. — თქვენ დაიმალეთ, მე და ბონდო მოგძებნით.

მანანა და ციური დასამალად გაიქცნენ. დომნა ბონდოსთან დარჩა.

— გეძებთ, — დაიძახა ცოტახნის შემდეგ დომნამ.

ბონდო ჯერ ცოტა შეყოყმანდა, მერე ხმა აუბა დომნას.

— გამოვდივართ. გეძებთ, — აჟღურტულდა იგი.

შემდეგ გამოცანების ამოხსნაში შეაჯიბრა დომნამ ბავშვები ერთმანეთს, ლექსებიც ათქმევინა. ზღაპრებიც მოაყოლა. და ასე იყო ყოველ საღამოს, სანამ ძილის დრო არ მოვიდოდა.

ინათებდა თუ არა. მანანა ფრთხილად წამოდგებოდა თავის ლოგინიდან, შეუწვებოდა დომნას, და უკვირდა, როცა ბონდო ყოველთვის იქ ხვდებოდა. ასე გადიოდა დღეები, თვეები. ბავშვები შეუმჩნევლად შეეჩვივნენ დომნას, დაუმეგობრდნენ. და თუმცა ჯერ დომნას საკუთარი შვილი არ ჰყავდა, ოჯახში სამი ობლის გულში შეუმჩნევლად დაიჭირა ღვიძლი დედის ადგილი. არ იცის დომნამ, როდის დაუძახეს მას ბავშვებმა პირველად „დედა“. იცის მხოლოდ. რომ მათ ის შეიყვარეს. მერე დომნასაც შეეძინა ორი ქალიშვილი და კიდევ უფრო ნაზი გახდა ბავშვებისადმი.

ბედნიერი იყო დომნა. ნამდვილად ბედნიერი. მაგრამ უეცრად დაჰკარგა საყვარელი მეუღლე 1961 წლის 28 აგვისტოს მწვერვალ „პობედაზე“ ჯუმბერ მეძმარიაშვილთან და თეიმურაზ კუხიანიძესთან ერთად ტრაღიკულად დაიღუპა ილია გაბლიანი.

— დამიობლდნენ ბავშვები, მაგრამ არ ვაგრძნობინებ შენს შვილებს ობლობას, — შეჰფიცა მეუღლეს დომნამ.

არავის უკვირს ახლა, ახალგაზრდა ქალი ხუთ შვილს რომ იფიცებს, ბონდოზე კი მზე ამოდის. ბონდოს მხოლოდ იმისთვის თუ დატუქსავს ხანდახან, მამის ნაკვალევზე გასაშვებად არ ემეტება: „ეს პროფესია გულიდან უნდა გადაიგდო, შვილო. მთასვლელობა რა შენი საქმეა, შენ ექიმი უნდა გამოხვიდე, რომ დედასთან ახლო იყო და მამაშენისაგან უდროოდ მოკლული გული გაუმთელო“. ახალგაზრდა ქვრივი დიდ მწუხარებას შრომით იქარვებს.

შრომამ გამოიყვანა იგი თავიდან დიდი ცხოვრების გზაზე. სოფელ ბეჩოში გაზრდილი გოგო საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მასწავლებლად მუშაობდა. შემდეგ მესტიის რაიფინგანში მრავალშვილიან და მარტოხელა დედების განყოფილების ინსტრუქტორი იყო. 1949 წლიდან დომნა ბეჩოს კოლმეურნეობაში მუშაობდა, ჯერ როგორც პარტორგანიზაციის მდივანი, მერე კი ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე. დომნა გაბლიანი ამჟამად მესტიის რაიონის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატში საყოფაცხოვრებო მომსახურების საამქროს უფროსია. ამ საამქროში დამზადებულმა სვანურმა ქუდებმა ლაიპციგის გამოფენაზე დიდი მოწონება და სიგელი დაიმსახურა. ორიათასი ცალი ასეთივე ქუდი ახალგაზრდობისა და სტუდენტთა პირველ მსოფლიო ფესტივალზე გაიგზავნა.

დომნა გაბლიანის საამქრო კომბინატში ერთ-ერთი მოწინავეა. დომნა მთელ დღეებს სამსახურში ატარებს. საღამოს კი ელიკოსა და ლალის ბაღიდან მოიყვანს, ცოტას ათამაშებს, ან პატარა მოთხრობებსა და ლექსებს წაუკითხავს, ზღაპრებს მოუყვება, ამღერებს, თვლას ასწავლის. პატარებს რომ დააძინებს, ბონდოს გაკვეთილების გამოკითხვის დროც დგება. როცა ყოველგვარ საქმეს მორჩება, როცა ყველანი დაიძინებენ, დომნა ტიანშანის მწვერვალ „პობედაზე“ ფიქრობს. მერე კარგახანს საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებებს ათვალიერებს. აი ერთი მათგანი:

„1962 წლის სპორტული კალენდარით გათვალისწინებული მწვერვალ „პობედას“ დაპყრობა (ტიანშანის სიმაღლოვანი ექსპედიცია), რომლის ჩატარება წელს არ ხერხდება, გადაიდოს 1963 წლისათვის“; დომნა მეუღლის სურათს დახედავს. ილია თითქოს ახლა უფრო გამამხნევებლად უყურებს. დომნა ცრემლებს მოიწმენდს და კითხვას აგრძელებს: „ექსპედიციის ძირითადი მიზანი: 1. მწვერვალ „პობედაზე“ ასვლა, მიძღვნილი ამავე მწვერვალის კალთებზე დაღუპული მთასვლელების ჯ. მეძმარიაშვილის, თ. კუხიანიძის და ი. გაბლიანის ხსოვნისადმი. 2. შესაძლებლობის შემთხვევაში ილია გაბლიანის ნეშტის ტრანსპორტირება“...

და ფიქრებში გაეხვევა დომნა გაბლიანი — „ხომ შეიძლება ჩემი ილია მშობელ მიწას დაუბრუნდეს, მის სამშობლოს, მის ხალხს, მის ცოლსა და შვილებს?! შეიძლება, როგორ არ შეიძლება“...

მერე საწერ-კალამს მოიმარჯვებს და თბილისში უფროს ქალიშვილთან გასაგზავნ ბარათს დაწერს: „... დედა გენაცვალოს, ციური, ჩვენ ყველანი კარგად ვართ, აბა შენ იცი როგორ ჭკუით იქნები. გკოცნით! შენი დედა...“ კონვერტზე გაკრული ხელით წააწერს: თბილისი, უცხო ენათა ინსტიტუტი, III კურსის სტუდენტს ციური გაბლიანს.

და სიჩუმეში ნელნელა იცრიცება მესტიის ღამე.

ლალა გორდაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია კუპრეიშვილი

## თოჯინა

კოკროჭინა თოჯინა,
დღედაღამე რომ გძინავს.
როგორ არა გრცხვენია,
დაგცინიან ბავშვები.
უჰ, რა ძილის გუდა ხარ,
აღარ გეთამაშები!



## დათუნია

დათუნია, დათუჩი,
სად დაკარგე ფაჩუჩი?
გაგისვრია ხალათიც,
სისუფთავე არ გიყვარს.
აბა, ასე თინიკო
სტუმრად როგორ წაგიყვანს?!

ა. ტაბატაძე

## მაბეზღარა

ქეთინო მარტო დარჩა და,
ვითომ ხაჭაპურს აცხობდა —
ხორცის საფქვავი დაშალა
და ველარ შეძლო აწყობა.

დედამ ნახა და გაუწყრა,
ნეტავ ვინ შეატყობინა?
ალბათ თოჯინამ თუ უთხრა, —
რა მაბეზღარა ყოფილა!



## ფისოს ქურქი

აგრე თბილი, ჭრელი ქურქი,
ჩემო კარგო ფისო,
ვინ გიყიდა, ვინ გაჩუქა,
ვის მოპარე, ფისო?

მართლაც კარგი ქურქი არი,
დაუფარავს კუდიც,
ახლა მარტო ქუდი გინდა,
ერთი თბილი ქუდი.

ამირან ართილაყვა

# მურა და ფისო

პატარა თამრიკოს დედამ ფერადყდიანი ჟურნალი უყიდა. თამრიკო ფურცლავს ჟურნალს, უხარია და იცინის. ჟურნალში რა არ ხატია: დათვი, მელა, მამლაყინწა, ფისო და ყურშა.

ყველაზე უფრო თამრიკოს ამ ნახატებში ყურშა და ფისო მოეწონა: მურა გაბრაზებული შესცქეროდა ფისოს. ფისო კი შიშისაგან დამფრთხალი, გასაქცევად თვალებს აცეცებდა.

— დედა, დედა, რატომ უბრაზდება მურა ფისოს? საწყალი ფისო, ცოდვა არ არის? — შეეკითხა დედას თამრიკო.

დედამ ჟურნალი გამოართვა, სტრიქონებს თვალი გადაავლო და მერე თამრიკოს მიუბრუნდა:

— აი, შვილო, რა მომხდარა: ფისოს ფინჯანში რძე ამოუსვლეპია, მურა დანაშაულზე წასწრებია და ახლა უნდა ქურდობისათვის დასაჯოს. შეშინებული ფისო კი ცდილობს გაუსხლტეს და თავს გაქცევით უშველოს.

თამრიკომ ამ ამბავზე გულიანად გადაიკისკისა.

# ლია სოფელში



ერთ ზაფხულს ლია ბებიას ესტუმრა სოფელში. გოგონას სოფელი ძალიან მოეწონა. თვალს იტაცებდა ვენახები, ხეხილის ბაღები, ჩაის პლანტაციები, ამწვანებული საძოვრები.

ბებო ყოველდღილით ჩაის პლანტაციაში მიდიოდა სამუშაოდ და ლიაც თან მიჰყავდა.

პლანტაცია მუდამ სავსე იყო ჩაის მკრეფავი ქალებით, მათი მხიარული ჟრიამული იქაურობას სიცოცხლითა და ხალისით ავსებდა. ისინი მწკრივად გაყოლებულ ჩაის ბუჩქებს შეფენოდნენ და მალიმალ ავსებდნენ ნორჩი ყლორტებით კალათებს.

პატარა ლიას ძლიერ მოეწონა მათი საქმიანობა და რამდენიმე დღის შემდეგ თვითონაც ისწავლა ჩაის კრეფა. ის კარგად არჩევდა, რომელი ფოთოლი მოეკრიფა და რომელი დაეტოვებინა ბუჩქზე; სწყვეტდა ფოთლებს და ბებოს კალათში ჰყრიდა.

— ბებო, ხომ ვისწავლე ჩაის კრეფა, ახლა მეც მინდა კალათი მქონდეს. — უთხრა ერთ დღეს ლიამ ბებოს.

ბებოს გაეცინა და მართლაც მალე აუსრულა ნატვრა: ძია ესტატეს პატარა კალათი დააწნევინა. მეორე დღეს, როცა მკრეფავები ჩაის ასაწონად მივიდნენ ფარდულში, გახარებულმა ლიამ მოიტანა ჩაით სავსე პატარა კალათი.

ლეილა კოშკაძე

## ლალი

ბაზრიდან მოდის დედა,
გვერდით მოჰყვება ლალი,
არ შეუძლია შველა,
ძალზე წუხს ციცქნა ქალი.

ბევრი იფიქრა, ბოლოს
დედას მიმართა ხვნეშით:
მე წამოგიღებ ჩანთას,
შენ ამიყვანე ხელში.

შ. ამირანაშვილი

## გამოცანები

მე მაქვს ფაფუკი
კუდი და ყელი,
ძალიან მიყვარს
თევზი და ყველი

* * *

წვიმისა და მზისგან ჩნდება,
მრავალფერად ელვარებს,
გადაეკვრის ხოლმე თავზე
მაღალ მთებს და მწვერვალებს.

* * *

მწვანე ხასხასა მდელოზე
ჩამწკრივებულან დები,
აქვთ ოქროსფერი თვალები
და თეთრი წამწამები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეკატერინე ასათიანი



ქართულ ლიტერატურას მრავლად ჰყოლია ჩუმი და მოკრძალებული მოღვაწე, მათ თავის დროზე ბევრი კარგი და სასარგებლო საქმე უკეთებიათ, კალმით თუ პრაქტიკული საქმეებით გამოხმაურებიან ხალხის საჭიროებას, ეპოქის მოთხოვნილებებს, მხარი და ხმა მიუციათ დიდ მწერალთათვის. ერთერთი ასეთი მოღვაწე იყო ეკატერინე ასათიანი.

ეკატერინე ასათიანი ოცდახუთი წლის წინათ გარდაიცვალა. მან მოხუცებულობაში ნახა ყველაზე დიდი სიმწარე — 1938 წლის იანვარში მოუკვდა ერთადერთი შვილი—სახელგანთქმული ფსიქიატრი, პროფესორი მიხეილ ასათიანი. შვილის სიკვდილის შემდეგ ეკატერინემ მხოლოდ რამდენიმე თვე იცოცხლა. იგი დასაფლავებულია შვილის გვერდით ვაკის სასაფლაოს პანთეონში. საფლავის ქვას მორიდებულად აწერია: „პროფესორის დედა კატო ასათიანი 1938 8/XII“.

ეკატერინე ასათიანი იყო თევდორე ჭრელაშვილის და თებრო ოქრომჭედლიშვილის შვილი.

ოქრომჭედლიშვილების ოჯახს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან. თებროს მამა ილია ოქრომჭედლიშვილი ილია ჭავჭავაძის მეგობარი იყო. კატოც დედისა და ბიძის მეშვეობით ბავშვობიდანვე გაეცნო დიდ ილიას. კატოს ძმა სტეფანე ჭრელაშვილი, ცნობილი მწერალი და პუბლიცისტ-კრიტიკოსი, ჟურნალ „იმედის“ მთავარ თანამშრომლად ითვლებოდა, ხოლო ამ ჟურნალის დახურვის შემდეგ (1883 წ.) დიდხანს მოღვაწეობდა ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“. ეკატერინეს მეუღლე—მიხეილ იოაების ძე ასათიანი, აგრეთვე ცნობილი ხალხოსანი მწერალი, ჟურნალ „იმედის“ იდეური ხელმძღვანელი იყო. სწორედ ამ ჟურნალის ნომრებში იბეჭდებოდა მისი თხზულებები. ამრიგად, ეკატერინე ასათიანი ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა წრეში ტრიალებდა. ლიტერატურულმა გარემომ და პირადმა ნიჭმა ეკატერინეს ხელში კალამი აიღებინა.

ეკატერინე ასათიანმა დაამთავრა ეპარქიალური სასწავლებელი. იგი დაქვრივების შემდეგ ცხოვრობდა დედასა და ძმასთან თბილისში და ზრდიდა თავის ერთადერთ ვაჟს. 1883 წლიდან ეკატერინე კუკიის საქალაქო დაწყებითი სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებელი ყოფილა; 1910 წელს კი ამ სკოლის გამგედ დაუნიშნავთ; 1913-1916 წლებში მოსკოვში ცხოვრობდა შვილთან ერთად და ალ. სუმბათაშვილის წრეში ტრიალებდა. ამავე წლებში მას უმოგზაურია ფინეთში

ეკატერინე ასათიანს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ეკატერინე გაბაშვილთან, მასთან ერთად მონაწილეობდა სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. 1873 წელს გაზეთ „დროების“ კახელი კორესპონდენტი იტყობინებოდა, რომ სიღნაღის საქალებო სასწავლებელი „ხუთი-ექვსი თვეა ღირს საცნობელ ეკატერინე ჭრელაევისას გაუხსნია“ („დროება“, 1873 წ., № 32, 11 აგვისტო). კორესპონდენტი აღტაცებულია მით, რომ სულ მოკლე ხნის განმავლობაში მოსწავლე ქალებს შეუსწავლიათ ქართული და რუსული წერა-კითხვა და რუსულიდან ქართულად თარგმნის ხელოვნება. „ერთი სიტყვით, — წერს კორესპონდენტი, — ეს ახლად გახსნილი საქალებო შკოლა ბევრს თბილისის ქალების პანსიონებს არ ჩამოუვარდება თავის შინაარსით. სწორედ მადლობის ღირსია ეკატერინე ჭრელაევისა სიღნაღელების მხრივ“.

ეკატერინე ასათიანი ქართველ ინტელიგენტთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელსაც ხალხოსნები ერქვა. ამ თაობას ეკუთვნოდნენ მისი მეუღლე მიხეილ ასათიანი, ძმა სტეფანე ჭრელაშვილი, მწერალი ეკატერინე გაბაშვილი და სხვანი. 80-იანი წლების ახალგაზრდობა მთავარ ყურადღებას ქართველი გლეხობის ეკონომიურ და სოციალურ მდგომარეობას აქცევდა. მათი პრაქტიკული საქმიანობა მიმართული იყო სკოლების გახსნისა და ხალხში განათლების შეტანისაკენ.

ამიტომ შემთხვევითი როდი იყო, რომ ეკატერინე ასათიანი თბილისში სწორედ ისეთ რაიონებს ეტანებოდა სამუშაოდ, სადაც „დაბალი“ ხალხი, მუშები ცხოვრობდნენ. როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი მასწავლებლობდა კუკიის რაიონში, მონაწილეობა მიიღო ნაძალადევის პირველდაწყებით სასწავლებლის გახსნაში.

სხვა მხრივაც არის საინტერესო ეკატერინე ასათიანის მოღვაწეობა, — იგი სწავლობდა ქართულ ხალხურ შემოქმედებას, კრებდა ქართული ფოლკლორის ნიმუშებს, მოზარდ თაობას მხატვრული ნარკვევების სახით აწვდიდა ხალხში გავრცელებულ წეს-ჩვეულებებს.

1883 წელს ჟურნალ „იმედში“ დაიწყო ეკატერინეს მოთხრობის „ბუუტა ვარსკვლავის“ ბეჭდვა. სამწუხაროდ, გამოურკვეველი მიზეზების გამო (უნდა კი ვივარაუდოთ, რომ ცენზურამ შეუშალა ხელი) დაიბეჭდა მოთხრობის მხოლოდ ერთი თავი. „ბუუტა ვარსკვლავში“ ეკ. ასათიანი გადმოგვცემს გლეხი აჩაჩას თავგადასავალს, მის სიღარიბეს, უბედურებას. როგორც სხვა ქართველი ხალხოსნები, ეკ. ასათიანიც იბრძოდა ჩამორჩენილობის, მკითხავების, უკულტურობის, გაუნათლებლობის წინააღმდეგ.

ეკატერინე ასათიანს ქართულ საბავშვო ლიტერატურაშიც უცდია კალამი. საბავშვო ჟურნალებში — „ნობათში“ და „ჯეჯილში“ სისტემატურად იბეჭდებოდა მისი პატარ-პატარა მოთხრობები. გარდა ამისა, 1886 წელს ცალკე წიგნად გამოიცა მოთხრობა „ქუდ-ბედიანი“, რომლის დედააზრია სწავლა-განათლების უდიდესი მნიშვნელობა ადამიანისათვის, ავტორი ხატავს სოფლის ცხოვრების, ბავშვის ბუნებაში თავისუფლად აღზრდის, მოჯამაგირის მწარე ბედის ცოცხალ სურათებს, რაც ნაწარმოებს მიმზიდველსა და ადვილად დასამახსოვრებელს ხდის.

ეკატერინე ასათიანი იმ ქართველ მოღვაწეთა რიგებს ეკუთვნის, რომლებიც უანგაროდ ზრუნავდნენ მშობლიური ხალხის კეთილდღეობისათვის.

ს. ხუციშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიტყვა ჩვენ გვეკუთვნის

## როდესაც ოჯახიდან დედა მიდის

სიტყვა ჩვენ გვეკუთვნის და, მართლაც, მრავალმა თქვა თავისი სიტყვა ჟურნალის ფურცლებზე. ეს ბუნებრივია — არ არის დედა. მეუღლე, დიასახლისი, ვისაც თავისი გამოცდილებიდან არ შეეძლოს რაიმეს გაზიარება. მაგრამ, რატომღაც ეს წერილები ერთმანეთს დაემგვანენ. ჩემს აზრს თავზე არავის ვახვევ, ჩემი აზრი კი ასეთია: ზოგიერთ ქალს სურს ოჯახში ატეხილი ყველა უსიამოვნება მამაკაცს გადააბრალოს. ერთის შეხედვით, შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ მამაკაცები უქნარები, ბუზღუნები და მგლისსახიანები არიან, რატომღაც მაგონდება მიხეილ ჯავახიშვილის ერთერთი რომანის უარყოფითი პერსონაჟი—ცუცქია, რომელიც დღედაღამ გაჰკივის— მამაკაცები ჰარამზადები, ავაზაკები ხართ, ჩაგრავთ უმწეო ქალსო. აბა, ჩვენთვის დავფიქრდეთ: რამდენჯერ მომხდარა, რომ ოჯახის დანგრევის მიზეზი ქალი ყოფილა. აქ უმთავრეს როლს ე. წ. „რომანული მიზეზი" თამაშობს. ეს ქალები სიყვარულის სახელით ტოვებენ ოჯახს, შვილებს. მადლობა ღმერთს, ასეთი მოვლენა ხშირი არ არის და, მაინც, ამის შესახებაც უნდა ავიმაღლოთ ხმა. სიყვარული შეიძლება ადამიანს, ქალს დაგვიანებით ესტუმროს, მაგრამ ამ შემთხვევაში ქალი უნდა მოერიოს საკუთარ თავს, გამოიჩინოს უდიდესი ნებისყოფა, დე, დაიტანჯოს, მაგრამ, სამაგიეროდ არ დაინგრევა წმიდათაწმიდა—ოჯახი, არ ატირდებიან ბავშვები. დავფიქრდეთ, რა ტრაგიკული ბოლო მოსდევს ბავშვებისათვის ოჯახის დანგრევას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც დედა მიდის. ბუნებრივია, დედა იტანჯება, სურს თავისი ბავშვები გვერდით ჰყავდეს, ხშირად მიჰყავს ახალ ოჯახში, აჩვევს ახალ მამას. მიტოვებული მეუღლე ამის წინააღმდეგია. ტყდება ახალი უსიამოვნება. ბავშვს, როგორც იტყვიან ხოლმე, აქეთ-იქით „ექაჩებიან". ბოლოს საქმე სასამართლომდის მიდის. ვინაა მტყუანი, ვინაა მართალი, კაცი ვერ არკვევს. მაგრამ მართალია ის, რომ ბავშვი, ეს პატარა ადამიანი, სულიერად იტანჯება. ადრეულად ეცნობა ცხოვრების ბნელ მხარეს, ხდება გულჩათხრობილი, ნერვიული, გადის წლები... მამა ახალ მეგობარს პოულობს. ამაში, აბა, ვინ გაამტყუნებს —ოჯახი კვლავ უნდა აშენდეს, მეგობარმა კვლავ უნდა დაგახვედროს ღია კარი, შეგაშველოს ხელი, გაიზიაროს გულისნადები, კვლავ უნდა გადაირწეს აკვანი... და ბავშვი თითქოს სრულიად მარტოდმარტო რჩება. მამაც კარგია, დედასაც ხშირად ნახულობს, მაგრამ ორივეს თავისი საზრუნავი აქვს, ახალი ოჯახი. ჰოდა, რა ქნას პატარა ადამიანმა? ამ საკითხზე მრავალი წიგნი დაწერილა, მრავალი ფილმი დადგმულა და ყველა წიგნისა თუ ფილმის საუკეთესო ბოლო ისაა, რომ დანგრეული ოჯახი კვლავ აღდგება, ადამიანები კვლავ უბრუნდებიან ერთმანეთს. მოვთხოვოთ ადამიანებს რკინის ნებისყოფა. მოვთხოვოთ იფიქრონ ბავშვების კეთილდღეობაზე. არ დაამახინჯონ მათი პატარა სული, არ შეიტანონ მუქი ფერები მათ ნათელ სამყაროში, ძნელია, ხანდისხან, ალბათ, ძალიან ძნელია. მაგრამ ამასა გვავალებს ჩვენი ადამიანური ღირსება.

**ნ. მაისურაძე,**
დიასახლისი.

## პატივისცემით რედაქციას!

ამ წერილს ჩემი რძლისა და ვაჟიშვილის თხოვნით ვწერ. ჩემმა პატარა ოჯახმაც დიდი ინტერესით წაიკითხა გასული წლის მაისის ნომერში დაბეჭდილი წერილი, ვკითხულობთ მკითხველთა გამოხმაურებებს, ვმსჯელობთ, ვუზიარებთ აზრებს ერთურთს. დიდად აღმაშფოთა „საქართველოს ქალის" მე-10 ნომერში გამოქვეყნებულმა წერილმა „სიდედრი-დედამთილის" ხელმოწერით. ამ ქალმა ან უყურადღებოდ და გულგრილად წაიკითხა წერილი, რომელზეც პასუხობს, ანდა, როდესაც კითხულობდა, თვალწინ ედგა რძალი, რომელიც ოდნავადაც არ უყვარს (არის თუ არა მისი რძალი ამაში დამნაშავე, ამაზე ჩვენ ვერაფერს ვიტყვით) და მასზე გაბოროტებულმა ჯავრი იყარა უცნობ ქალზე. აბა, როგორ ავხსნათ მისი სიტყვები, რომ საჭიროა „იმ ქალის სალი და დაუნდობელი კრიტიკა, ვინც თავისი უტაქტობით და უხეირო ქცევით რევს ოჯახს!"... პირდაპირ მოწოდებაა! „თვითონ როგორი ცოლი იყო? წერილში ამაზე არაფერია ნათქვამი", — ამბობს „სიდედრი-დედამთილი", არის ნათქვამი, მაგრამ როგორც ჩანს, ვერ წაუკითხავს.

განა სიცხიანი ქალი რომ ლოგინიდან წამოდგება — ქმარს საჭმელი დავახვედროო, ეს არაფერს ნიშნავს? ქმარი კი საყვედურს რომ ეტყვის, რატომ უკეთესი საჭმელი არ მოამზადეო, — ნუთუ ეს ფაქტი არ ახასიათებს ერთსაც და მეორესაც? თუ ქმარიც ოცნებობდა კარგ ოჯახზე, სიყვარულზე, სითბოზე, ურთიერთ გაგებაზე, (როგორც თქვენ წერთ), მაშინ იმას უსაყვედურებდა, რატომ ადექიო და არა იმას უკეთესი საჭმელი რატომ არ მომიმზადეო. ასე დაიწყო და ასევე განაგრძობს ეს უსულგულო მამაკაცი. 7 წლის ერთად ცხოვრების შემდეგ კვლავ მსგავსი ამბავი მეორდება. გრიპით ავად არის ცოლიც და ბავშვებიც. მზრუნველი ქმარი, თუ კი ის ოცნებობდა და ოცნებობს სიყვარულზე და სითბოზე, ოჯახში შესვლისთანავე შეუდგება მათ მოვლა-პატრონობას, ის კი იქით საყვედურობს „სუფრა რომ გააწყვე და დაწექი, მე ყურადღების მოქცევა აღარ მჭირდებაო?" ნუთუ ავადმყოფ ქალს მადლობასაც კი არ ეტყვი, რომ მან მაინც კიდევ იზრუნა, საჭმელი გაგიცხელა, სუფრა გაგიწყო და ისე დაწვა: ნუთუ იმდენად უქნარა უნდა იყოს მამაკაცი, რომ თეფშის გამოცვლა ან ჩაის დასხმაც არ სურდეს თვითონ სად არის აქ სურვილი უჯახური სითბოსი და სიყვარულისა!

თქვენ წერთ: „როგორ დავიჯერო, რომ კაცმა იმ მიზნით შექმნა ოჯახი, რომ ებუზღუნოს ცოლს, მუდამ უკმაყოფილო იყოს, ერთი სიტყვით, იმისათვის, რომ გაიმწაროს თავისი ცხოვრება?"

განა სწორია ასე საკითხის დასმა?

მან ოჯახი იმისათვის არ შექმნა, რომ გაიმწაროს ცხოვრება და არც იმწარებს, როგორც სჩანს. ავადმყოფი ქალისაგან რომ მოითხოვს ფეხზე იყოს და ემსახუროს, აქედან უკვე სჩანს რისთვის შეუქმნია ოჯახი, როგორ წარმოუდგენია ცოლი და მისი მოვალეობა.

კარგი იქნებოდა, წერილის წერა რომ დააპირა, „სიდედრ-დედამთილს" ერთხელ კიდევ ყურადღებით გადაეკითხა ის წერილი, წარმოედგინა უცნობი ქალის მდგომარეობაში თავისი ქალიშვილი და არა რძალი, გულთან ახლოს მიეტანა ყოველივე და შემდეგ აეღო ხელში კალამი.

მე კი ვისურვებდი — შორს იყოს ჩვენგან ასეთი უსულგულო დამოკიდებულება ადამიანთა შორის.

ხშირად მეუბნებიან ბედნიერი ქალი ხარო და ასეც ვთვლი. ქმარი მყავდა მეტად მგრძნობიარე. იგი კულტურული, თავაზიანი, გულისხმიერი და სათნო ქალის აღზრდილი იყო. ჩემი ერთადერთი ვაჟიშვილიც მამასავით კარგი გაიზარდა. მას უსაზღვროდ უყვარს ცოლ-შვილი, როგორც იტყვიან, თავს დაკანკალებს.

სამი წლის წინ ქალ-ვაჟი შეეძინა. ბუნებრივია, ჩვენ ხშირად აღარ გვრჩებოდა დრო და ბავშვების მამას ყურადღებას ვერ ვაქცევდით. ერთხელ საყვედური არ წამოსცდენია არც ჩემი და არც ცოლის მიმართ. პირიქით, ის ბავშვების დაბადების დღიდანვე აქტიურად ჩაება საერთო საოჯახო შრომაში, ხელს გვიწყობდა და გვეხმარებოდა. ის მამაკაცია, ფიზიკურად უფრო ძლიერი და ამტანი. თუ კი ჩემს რძალს შეუძლია მთელი ღამეც კი გაათიოს ბავშვების მოვლაში და მეორე დღეს კვლავ იშრომოს, რატომ არ შეუძლია იშრომოს გამოძინებულმა მისმა ქმარმა?!

ქალს თუ ყოველთვის ებუზღუნე, უსაყვედურე, უსულგულოდ მოექეცი, როგორ-ღა მოელი მისგან გაღიმებულ შეხვედრას? რომელ „ქალურ ქალობაზე" ვლაპარაკობთ?!

ჩემის აზრით, ეს ბუზღუნა და უსულგულო კაცი იმდენად დამნაშავე არაა, რამდენადაც მისი აღმზრდელები. სწორედ წერს პედაგოგი ჯულიეტა გრძელიშვილი, თუ ჩვენმა ვაჟიშვილებმა ვერ შექმნეს ტკბილი ოჯახი, სადაც მეგობრობა და ერთმანეთზე ზრუნვა სუფევს, ეს ჩვენი — ქალების, დედების ბრალია.

**ქ. ფალავანდიშვილი,**
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიერ გამარა

# ზღვა და ოცნება

მოთხრობა

მხატვარი ნანი შალიკაშვილი

პარიზის ერთ ნათელ დღეს სენ-მიშელის მოედანზე მოხუცი ქალი გამოჩნდა. წვიმების შემდეგ ზაფხულის სიცხე აღარ იგრძნობოდა, იდგა თბილი და მეტად სასიამოვნო დილა. სახურავებს შორის უღრუბლო, ფირუზისფერი ცა მოჩანდა.

მოხუცი ქალი მსუბუქად მიაბიჯებდა. ამ დღეს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ტანი მინისა, ხოლო გული ბროლისა ჰქონდა. ყველაფერს უღიმოდა: დუქნებს, რეკლამებს, ყვავილებს კაფეების ტერასებზე და ხეებს, რომლებიც მწვანე მაქმანივით შემოხვეოდნენ სენას. თავდახრილი მოხუცი ვერ ამჩნევდა თავის გაცვეთილ ფეხსაცმელს და ხმადაბლა იმეორებდა: „რა მშვენიერი ამინდია, რა მშვენიერი ამინდია!“.

მართლაც მშვენიერი დარი იდგა. დიდი წვიმების შემდეგ პარიზში მზიანი დილა თენდებოდა. მზის სხივები ანათებდნენ შენობათა ვარდისფერ და რუხ ფასადებს, ხოლო აივნებზე გახარებული ყვავილები სილამაზეს მატებდნენ მათ.

კაფეების მსახურნი ღიმილით ალაგებდნენ ქვაფენილზე ტირიფის მაგიდებსა და სკამებს. ახალი ღვინის სურნელება ირეოდა ხილისა და ბოსტნეულის სურნელებაში, რომლებსაც ქუჩაში მოვაჭრენი ურიკებით მიაგორებდნენ.

ქუჩაში მომწვანო ავტობუსები გამოჩნდნენ. მოძრაობამ იმატა. პარიზი იღვიძებდა.

მოხუცი ქალი სენ-მიშელის შადრევნის წინ შეჩერდა, თვალები დახუჭა და აუზის მოლიპულ ქვებს დაეყრდნო. იგი არ იყო დაღლილი, თვალები კი იმიტომ დახუჭა, რომ უკეთ გაეგო წყლის ჩუხჩუხი. წყალი მღეროდა, ბუყბუყებდა, ჩქეფდა. მოხუცი ფიქრობდა ნაკადულებზე, მდინარეებზე, რომლებიც ზღვას ერთვიან.

ზღვა!... იგი უსაზღვროა, მრავალ ქვეყანას ხედავს და მათ სანაპიროებს ეალერსება. ხანდახან ბობოქრობს, მრისხანედ ეხეთქება კლდეებს, ხმაურობს. მას ღრმა და ნათელი, ოდნავ იდუმალი ხმა აქვს...

მოხუცმა ქალმა თვალები გაახილა. მის წინ სენ-მიშელის მშვენიერი შადრევანი ჩქეფდა. რასაკვირველია, იგი არ იყო ისეთი ლამაზი და დიდებული, როგორც ნამდვილი ზღვა, მაგრამ მაინც საუცხოო სანახავი იყო. მოხუცმა ამოიოხრა, თუმცა საკმაოდ კარგ ხასიათზე იყო. თავში მხოლოდ ერთი ფიქრი უტრიალებდა: დღე კარგად დაიწყო და ამ დღეს მისთვის ბედნიერება უნდა მოეტანა.

მოხუცი ნელა მისეირნობდა მოედანზე. მივიდა გაზეთის კიოსკამდე. ერთხანს კინაღამ ცდუნებას აჰყვა და გაზეთი იყიდა, მაგრამ არა, შეჩერდა, ამჯობინა სასიამოვნო ოცნება გაეგრძელებინა. რაღაც უჩინარი ეუბნებოდა, რომ ოცნება აუცილებლად აუსრულდებოდა. ეს რაღაც იყო: მზე, ნაზი ჰაერი, სასიამოვნო დილა...

რა წყნარი ამინდია! ბოლოს და ბოლოს მასაც ხომ შეუძლია ცოტა გაერთოს, როგორც ყველა ამ ხალხს, მის ირგვლივ რომ ირევიან. შემდეგ იყიდის გაზეთს, რომ გაიგოს...

და როდესაც მოიგებს, ფულის მისაღებად წავა. ჰმ, რატომაც არა? ჩინოვნიკი გაოცდება, როდესაც დაინახავს თუ როგორ მიუახლოვდება მოხუცი ქალი სალაროს. გაოცდება? რატომ? ბედმა ხომ შეიძლება ყველას გაუღიმოს. ნეტავ პირადობის მოწმობა თუ არის საჭირო? ყოველ შემთხვევისათვის თან წაიღებს. თუმცა, კარგად იცნობენ უბანში მას — ენრიეტ მადელონს, სამოცდარვა წლის დიასახლისს, ლუი მადელონის ქვრივს.

როდესაც ფული ექნება, ბილეთს დაუკვეთავს. ესაა მთავარი. მარტო ფული არაფერია, მოხმარება უნდა იცოდე. ოო! დიდი ხანია რაც ენრიეტ მადელონი ამ დღეს ელოდა. მართალი რომ ვთქვათ, ამ დღეს ჯერ კიდევ შორეული ბავშვობიდან ელოდა. როდესაც ფული ექნება, ნამდვილ ზღვას ნახავს და შემდეგ სიკვდილისაც აღარ შეეშინდება.

მთელი სიცოცხლის მანძილზე სხვებს ემსახურებოდა. ურეცხავდა სარეცხს, იატაკს, ფანჯრებს. ერთ დროს ყველაფერი ეადვილებოდა. მაშინ ახალგაზრდა და ღონიერი იყო. დიასახლისები ბედნიერნი იყვნენ, თუ მას დაიქირავებდნენ. ახლა კი ბევრი მერყეობდა, როდესაც ზღურბლზე სახემილეულ პატარა ქალს დაინახავდნენ, თეთრი თმითა და დაკოჟრილი ხელებით.

ენრიეტი ნელა მიდიოდა სანაპიროს გასწვრივ. ბუკინისტთა ფარდულებს შორის სენის მომწვანო ტალღები მოჩანდნენ. ზღვა უთუოდ მდინარეს ჰგავს, მაგრამ, რა თქმა უნდა, უფრო დიდია...

ენრიეტ მადელონს არასოდეს უნახავს ზღვა, მაგრამ მთელი სიცოცხლის მანძილზე ცდილობდა მის წარმოდგენას. ეკითხებოდა მეზობლებს, ნაცნობებს და ჯერაც ვერ წარმოედგინა ზღვა: „ამიხსენით მაინც რამოდენაა? არსად არ თავდება? ჰმ, განა ეს შესაძლებელია? მას დიდი და თეთრქოჩრიანი ტალღები აქვს? ვერ წარმომიდგენია, ზოგიერთი რამ საკუთარი თვალით უნდა ნახო. მითხარით, ზღვა...“

ზღვამ დაიპყრო გულუბრყვილო გონება, სადაც ერთდებოდნენ: წარმოდგენათა ნამსხვრევები, ნატეხები, ფოტოები ნახული ჟურნალებსა და გაზეთებში. როდესაც მოხუცი ქალი თევზებით მოვაჭრე ბიუსის ფარდულის წინ გაივლიდა, ცოტახნით დახლთან ჩერდებოდა ხოლმე და ზღვაზე ფიქრობდა. ერთ დღეს, როდესაც შინ ბრუნდებოდა, ენრიეტმა სენაზე იალქნიანი ნავი შენიშნა, იგი ნეფისა და სენ-მიშელის ხიდებს შორის მიცურავდა. პარიზის ქვის სანაპიროებს შორის მოსრიალე ეს თეთრი ფრთები მოხუცის წარმოდგენაში უზარმაზარ ოკეანეს აცოცხლებდა.

ქმრის სიცოცხლეში ისინი ხშირად ფიქრობდნენ, ერთ შაბათ დღეს მატარებელში ჩამსხდარიყვნენ და ტრეპორტსა ან დიეპში წასულიყვნენ. მაგრამ, ეს ერთი შეხედვით უბრალო საქმე, სრულიადაც არ იყო იოლი. მგზავრობას ბილეთის ფასი აძნელებდა. წლების განმავლობაში ფიქრობდნენ: „მომავალ ზაფხულს, დიახ, მომავალ ზაფხულს ჩვენ ისე მოვახერხებთ, რომ პატარა თანხას გადავდებთ და ორიოდე დღის დასვენებას უზრუნველვყოფთ!“



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაფხული ახლოვდებოდა. მოგზაურობა კი სხვადასხვა მიზეზების გამო ჭიანურდებოდა. ზღვა ცხოვრობდა მხოლოდ წიგნებსა და ჟურნალებში, სურათებიან ალბომებში, რომელთა გადათვალიერებაც სანაპიროზე შეიძლებოდა.

ერთ დღეს ლუი მადელონი ავად გახდა. ენრიეტს ორმაგად უნდა ეშრომა. შემდეგ დაიწყო ომი და ყველა ის უბედურება რაც მას მოსდევს... ახლა ტრეპორტსა ან დიეპში გამგზავრებაზე აღარ ლაპარაკობდნენ, მაგრამ ენრიეტი მაინც ოცნებობდა. მან იცოდა, რომ შეუძლებელი ამ ქვეყნად არაფერია და სჯეროდა: მომჭირნეობის წყალობით ვნახავ ზღვასო. არა, იგი აუცილებლად იპოვის ორიოდე დღეს თავის სიცოცხლეში...

მოხუცი ქალი სანაპიროს გასწვრივ მიდიოდა. ბუკინისტთა ფარდულები მთელ შეკვრა წიგნებს სთავაზობდნენ გამვლელებს. დედა მადელონი მშვიდი ნაბიჯით მიდიოდა ხალხის ბრბოში. წიგნების ფარდულებს მუსიკალური ფარდულები ცვლიდნენ: პარტიტურები, ოპერები, კომიკური ოპერები... და აქ ენრიეტ მადელონის გული ხელახლა იწყებდა ცემას. მიუახლოვდებოდა ნოტებს: ბეთჰოვენი. როსინი, მოცარტი, ჰუნო, „სევილიელი დალაქი", „ტრავიატა"... ეს მთელი მისი სიცოცხლის მეორე ოცნება, მეორე სურვილი იყო: გაეტარებია ერთი საღამო ოპერაში.

ქმრის სიცოცხლეში ისინი ხშირად საუბრობდნენ ამ თემაზე. მართლაცდა, ოპერაში წასვლა უფრო ადვილი იყო, ვიდრე მოგზაურობა ტრეპორტში. საკმარისია იყიდო ბილეთები (ჯობს წინასწარ მოემზადო) და სენაზე გადახვიდე. აი უკვე მიდიან ლუვრში, ჭრიან პალე-როიალს, გადიან ოპერის გამზირზე და ოპერა მათ წინაა, სულ პირდაპირ.

ამაზე ხშირად საუბრობდნენ. ჰმ! რატომაც არა? ბოლოს და ბოლოს სისულელეა ცხოვრობდე პარიზში და ოპერაში ფეხიც არ შეგედგას. ისინი კი მხოლოდ იმით კმაყოფილდებოდნენ, რომ გარედან შესცქეროდნენ შენობას. რა თქმა უნდა, გარედან ლამაზია, მაგრამ ალბათ არც კი შეედრება მას, რაც შიგნითაა. სანახავი კი იქაა: ჭაღი, ლოჟების, სავარძლების ხავერდი, ფარდა, რომელიც იხდება, მუსიკა, პროჟექტორები, ცეკვა...

წლები გადიოდა. სეზონები იცვლებოდა. მაგრამ არც ლუი მადელონს, არც მის მეუღლეს ერთი საღამოც არ გაუტარებიათ ოპერაში...

ნაზი და ნათელი დილა იდგა. ენრიეტ მადელონი სეირნობას ათავებდა. ქაღალდის ნაჭერი, რომელიც ხელში ეჭირა, ორ ოცნებას შეიცავდა, და მოხუც ქალს სჯეროდა, იგი აუცილებლად აუსრულდებოდა. საკმარისი იყო გადაეჭრა ქუჩა, მისულიყო კიოსკამდე და გაზეთი ეყიდა. გაზეთს ქუჩაში არავითარ შემთხვევაში არ წაიკითხავს, სახლამდე მოითმენს. წინ სენ-ანდრე-დეზარის ვიწრო ქუჩა გამოჩნდა. მოხუცი ეზოში შევიდა, სახლის პატრონს მიესალმა და კიბეზე ასვლა დაიწყო. ნელა ადიოდა. ხელით მოაჯირს ეყრდნობოდა. შესაძლოა დღეს ცოტა მეტი იარა. კარებს იქიდან რადიოს ხმა ისმოდა.

მუსიკა! არ მოკვდება ისე, სანამ არ მოისმენს მუსიკას ოპერაში, სანამ არ ნახავს ზღვას! აი, იგი ხედავს კლდეებთან ხმაურით შეჯახებულ ცისფერ ტალღებს. შემდეგ კლდის ქვაბულები თეატრალურ ლოჟებად იქცევიან, ხოლო ტალღების ხმაური ვიოლინოების ხმებად. აინთო რამპა. დირიჟორმა ხელები აღმართა. ფარდა ირხევა, ახლა აიწევა.

მოხუცმა კარებს უბიძგა. ეს მისი ოთახი იყო, სხვენზე. ვიწრო მაგიდა, დაწნული სკამი, რკინის საწოლი და პატარა ბუფეტი. მზე ვიწრო სარკმლიდან შემოდიოდა. მაგიდაზე



იდო პურის ნაჭერი, სამი კარტოფილი, პამიდორი და ჭიქა რძე.

მოხუცმა გაზეთი გაშალა და ძებნა დაიწყო. შემდეგ წინსაფრის ჯიბე მოიქექა. სად არის ლატარიის ბილეთი, რომელსაც დილიდანვე ჰმუჭნიდა? ნუთუ დაკარგა? არა, აქ არის.

მოიგო. იგი ამაში ღრმად იყო დარწმუნებული. დღეს ყველაფერი ანუგეშებდა. პარიზი უღიმოდა, ჰაერი იყო სუფთა. რასაკვირველია, პატარა მოგება. იგი არასოდეს არ ითხოვდა დიდს. პატარა, შესაძლო, შესაფერი მოგება, სულ რამდენიმე ათასი ფრანკი, რათა იყიდოს ბილეთი ტრეპორტამდე. ზერელედ წაისაუზმებს პლაჟზე, სანამ მატარებელში ჩაჯდება. შემდეგ ერთი ადგილი ოპერაში, რასაკვირველია, არა პარტერში. ერთი ადგილი მაღლა, ნაკლებფასიანი. ზღვა და ოპერა იყო მისი ოცნება. შემდეგ სიკვდილიც შეიძლება და, თუ იქ ქმარს შეხვდება, ყველაფერს უამბობს. ზღვა და ოპერა...

რა? არა? არა! საჩვენებელი თითი სტრიქონიდან სტრიქონზე დარბოდა. მოხუცმა ხელახლა წაიკითხა თავისი ნომერი. არა, არ მოიგო! დაკარგა მოგზაურობა ზღვის სანაპიროზე, ერთი საღამო ოპერაში.

დაკარგა, ეს ცხადი იყო. მზემ მოატყუა, დილის სინათლემ მოატყუა, ამაოდ დააიმედა. ლატარიის ბილეთი არაფერი ღირდა. ეს იყო დაკარგული ფული. მოხუცმა ქალმა თავი დაკოჟრილ ხელებში ჩარგო. მან მხოლოდ ახლა შეიგრძნო ცხოვრების მთელი სიმძიმე. პატარა სხეული თეთრი ხის მაგიდაზე დაეშვა. ზღვა და ოპერა... ზღვა და ოპერა... ნუთუ ვეღარასოდეს ნახავს? ვინ აჩვენებს მას ერთ დღეს ზღვასა და ოპერას?...

ფრანგულიდან თარგმნა
მ. ხოშტარიამ

# ცივილიზაცია ამაზონის ჯუნგლებში



ერთ ნისლიან დღეს ბროდვეის ქუჩებზე გამვლელების ყურადღება მიიპყრო გაზეთის გამყიდველი ბიჭების ხმამაღალმა შეძახილებმა, რომლებიც მოქალაქეებს წამდაუწუმ აჩერებდნენ და გაზეთის ახალ ნომრებს სთავაზობდნენ. „სენსაცია, სენსაცია! აღმოჩენილია ახალი ტომი! ბრაზილიის ჯუნგლებში ცხოვრობს დღემდე უცნობ ადამიანთა ჯგუფი! სენსაცია № 1!“

მართლაც, გაზეთების პირველ გვერდებზე დიდი სათაურებით დაბეჭდილი იყო ცნობა იმის შესახებ, რომ როდესაც ამერიკის ავიაკომპანიის ერთ-ერთი თვითმფრინავი ბრაზილიის ჯუნგლების თავზე მიფრინავდა, ეკიპაჟის ერთ-ერთმა წევრმა ქვევით, პატარა მინდორზე შენიშნა პირველყოფილ ადამიანთა ჯგუფი, რომლებმაც თვითმფრინავის ხმაურზე ჯუნგლებს შეაფარეს თავი.

ამ ცნობამ დიდი ინტერესი გამოიწვია მთელს მსოფლიოში. ეთნოგრაფები, გეოგრაფები და ისტორიკოსები გაკვირვებამ მოიცვა. ნუთუ მსოფლიოს რუქაზე კიდევ არსებობს „თეთრი ლაქები?“ ნუთუ ატომისა და ხელოვნური თანამგზავრების ეპოქაში დედამიწაზე ცხოვრობენ ადამიანები, რომელთაც არაფერი იციან გარესამყაროს არსებობის შესახებ? ნუთუ ბრაზილია, ჩვენი პლანეტის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი თავის წიაღში მალავს კაცობრიობის უდიდეს და საინტერესო საიდუმლოებას? ნუთუ ამ „ბუნების მიამიტ შვილებს“ (როგორც ცვაიგი იტყოდა) წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, რომ დედამიწა მრგვალია, რომ მთვარის უკანა მხარე ფოტოთია გადაღებული, რომ მათი თანამემამულენი ჩემპიონები არიან ფეხბურთში? მსოფლიო საზოგადოებრიობა უდიდესმა ინტერესმა მოიცვა. დღის წესრიგში დადგა იმ კითხვითი ნიშნების გაშიფვრა, რომლებიც უცნობი ტომის გახსენებასთან ერთად ამოტივტივდებიან ხოლმე ადამიანთა გონებაში.

ამერიკა რის ამერიკაა, თუ თავისი ცნობისმოყვარეობა ყველგან ზედმეტად არ გამოამჟღავნა! მართლაც, ნიუ-იორკში საჩქაროდ შეკაზმეს „ტურისტული“ ექსპედიცია მისიონერებისა დროშით, რომელზეც განსაცვიფრებლად იოლად მოთავსდნენ ზეთისხილის შტო და ბორკილები და გაუდგნენ გზას „აღთქმული ქვეყნისაკენ“.

მართლაც, აღმოჩნდა, რომ ბრაზილიის შუაგულში, მდინარე ამაზონის ნაპირებზე, რომელიც გაუვალი ჯუნგლებითაა დაფარული, ცხოვრობდა ხალხი, რომელიც არც ერთ ევროპელს ჯერ არ ენახა. არავინ იცოდა, რამდენი კაცი, რამდენი ტომი იყო აქ დასახლებული. მამაკაცები, რომელთა ძირითადი იარაღი მშვილდ-ისარი და ქვის პრიმიტიული ცული იყო, მონადირეობას მისდევდნენ, ქალების ძირითად მოვალეობას კი (რომელთა ბრწყინვალე ტანადობით შურით აღივსებოდა მათი ბევრი ევროპელი და) დიასახლისობა შეადგენდა. „ცივილიზებული“ მათში გახლდათ საუკუნეების მანძილზე დანერგილი ტრადიციებისადმი უდიდესი ერთგულება. მართალია, მათ წარმოდგენა არ ჰქონდათ, რა ხდებოდა თავიანთი ტყეების იქით, მაგრამ სამაგიეროდ კარგად იცოდნენ ერთი რამ: რას ნიშნავს თავისუფალი ცხოვრება. ამიტომ იყო, რომ ისინი გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ „ქრისტეს მოციქულებს“ და დაუპატიჟებელ სტუმრებს შეერთებული შტატებიდან. „თეთრი ღმერთების“ წადილი — გაევრცელებინათ აქ ქრისტიანობა—დიდხანს უშედეგოდ მთავრდებოდა და ადგილობრივ მოსახლეობას ვერ [illegible] ვინ იყო ქრისტე, ან რა ძალა შესწევდა მას, როცა არსებობდნენ უფრო ძლიერი ღმერთები — კერპები, რომელთა საპატივცემლოდ ჯუნგლებში ხშირად იმართებოდა რელიგიური დღესასწაულები. ეს დღესასწაულები რამდენიმე დღეს გრძელდებოდა და მთავრდებოდა რიტმული ცეკვებითა და მასობრივი სიმღერებით. აქ ისევე, როგორც საზოგადოების დაბალ საფეხურზე მდგომ სხვა ხალხებშიც, გმირობისა და ვაჟკაცობის სიმბოლოდ ითვლებოდა მოკლული მტრის თავის ქალა. რაც მეტი თავის ქალა ჰქონდა ტომის რომელიმე წევრს, მით უფრო მეტ პატივისცემასა და ყურადღებას იმსახურებდა ის. როდესაც ამერიკელმა „ტურისტებმა“ ეს თავის ქალები მსოფლიოში გაზიდეს, ამ „სუვენირებზე“ დიდი მოთხოვნილება გაჩნდა ევროპისა და ამერიკის ბაზარზე. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ დღეს ადამიანის თავის ქალას ამაზონის ჯუნგლებში ისევე სთავაზობენ უცხოელ მგზავრს, როგორც საზამთროს.

„თეთრი ღმერთების“ მოსვლასთან ერთად უკუღმა შეტრიალდა მშვიდობიანი ტომის ცხოვრებაც. მისიონერების ექსპედიციას მალე მოჰყვა ამერიკელი პლანტატორებისა და მრეწველობის მძაფრი ექსპანსია ამ ადგილებში.

დღეს ამერიკელი კაპიტალისტები საქვეყნოდ გაჰყვირიან, რომ მათ ამ ველურ ტომს ცივილიზაციის პერანგი ჩააცვეს. უნდა შევნიშნოთ, რომ იგი ძალიან ჰგავს კატორღელის პერანგს. განმეორდა ისტორია, რომელიც ერთ დროს მთელი თავისი საშინელებით თავს დაატყდა აფრიკისა და ავსტრალიის ადგილობრივ მოსახლეობას, როცა ისინი ევროპელმა კოლონიზატორებმა დაიმორჩილეს.

დღეს იგივე ხდება ბრაზილიის ჯუნგლებში. ადგილობრივი მოსახლეობა უმოწყალოდ ჩანაგდება მემამულეთა პლანტაციებში. მათ სურვილისამებრ ჰყიდიან და ყიდულობენ. პლანტატორს შეუძლია მოჰკლას ან მთელი ოჯახებით აჰყაროს ისინი და უვარგის მიწებზე გარეკოს. და ამისათვის იგი არავის წინაშე პასუხს არ აგებს... ასე შედის „ცივილიზაცია“ ამაზონის ჯუნგლებში.



# ჩვენი სამედიცინო კლუბი

# ქუნთრუშა

ოთხი წლის ამირანმა ჩვეულებრივზე ადრე მოითხოვა დაძინება. დედამ იგი დააწვინა, შუბლზე აკოცა და ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდა.

ქალი რატომღაც ვერ ისვენებდა, ხშირად შედიოდა შვილის ოთახში, თითქოს საეჭვო არაფერი იყო, ბავშვს მშვიდად ეძინა. იმ ღამით ამირანის მშობლებს სტუმრები ჰყავდათ. ის-ის იყო გააცილეს ისინი, რომ ბავშვის შეყვირება მოესმათ, შეშინებულმა მშობლებმა შვილის ოთახს მიაშურეს, ამირანი ლოგინიდან წამოვარდნილიყო, მას სიცხე ჰქონდა, ცოტა ხნის შემდეგ გული აერია და აღებინა. მალე დამშვიდდა და ისევ ჩაეძინა. მშობლებმა ექიმი გამოიძახეს. მან ბავშვი გულდასმით გასინჯა, მსუბუქი ანგინის მოვლენები შეამჩნია, სიცხე გაუზომა –– 38 გრადუსი ჰქონდა. ექიმმა მშობლები დაარიგა, დაუბარა: თუ საჭირო ვიქნები ისევ დამიძახეთო და წავიდა. დილით დედამ ამირანს ტანზე წვრილი გამონაყარი შეამჩნია, ბავშვი ტანის ქავილს და ცოტა ყელის ტკივილსაც უჩიოდა. სიცხემ კი დაუწია— 37 გრადუსამდე. გუნება-განწყობაც კარგი ჰქონდა. შუადღისას ბავშვს გამონაყარი გაუქრა, სიცხე აღარ ჰქონდა და არც ყელს იტკიებდა. მშობლებმა ექიმის ხელმეორედ გამოძახება ზედმეტად ჩათვალეს. დაწოლილს აბა, ვინღა გააჩერებდა, ადგა და ჩვეულებრივად დაიწყო ნავარდი.

გავიდა რამდენიმე დღე და პატარა ამირანმა მოიწყინა, ხალისი დაკარგა, დაახლოებით 15 დღის შემდეგ ღამით სიცხე მისცა, მაგრამ დილას კვლავ ნორმალური ჰქონდა და ლოგინში აღარ დადგა.

რამდენიმე დღის შემდეგ ამირანი ოთახში ბურთს თამაშობდა. ბურთი აივანზე გაუგორდა, ბავშვი გამოუდგა და მოულოდნელად დაეცა, თითქოს არაფერი სტკენია, მაგრამ ვეღარ ადგა. დედა მივარდა, ხელში აიტაცა. ბავშვს სახეზე ლურჯი ფერი გადაკვროდა, ხელფეხი გაცივებოდა, არც მაჯისცემა შეიმჩნეოდა. სასწრაფოდ გამოიძახეს ექიმი, მან ბავშვს გულის საშუალებანი გაუკეთა, წელს ქვემოთ ცხელ წყალში დასველებული ზეწარი შემოახვია. თბილად დაახურეს. ჟანგბადის ბალიში ასუნთქეს. ცოტა ხნის შემდეგ ბავშვს სასიცოცხლო ფერმა გადაკრა, ქუთუთოები აამოძრავა, შეიშმუშნა. ექიმმა კვლავ გასინჯა ბავშვი: თვალის ქუთუთოები და სახე შეშუპებული ჰქონდა, ხელსა და ფეხის თითებზე კანის ნაზი აქერცვლა შეიმჩნეოდა, გულიდან მოდუნებული, შუილისმაგვარი ტონები ისმოდა, მაჯისცემა არარითმული იყო. როცა ზეწარი შემოხსნეს, იგი სისხლით მოსვრილი აღმოჩნდა, ბავშვს სისხლი მოეშარდა. საეჭვო აღარაფერი იყო: ეს იყო ქუნთრუშისათვის დამახასიათებელი მძიმე გართულებები. მშობლების ყურადღების მოდუნებამ, პირველად გამოძახებული ექიმის გულგრილობამ (მას ბავშვი მეორე დღესაც უნდა ენახა) სავალალო შედეგი გამოიღო: დაავადება გამოუცნობელი დარჩა და პატარა ამირანი დაღუპვის საფრთხის წინაშე დააყენა.

ექიმმა ბავშვის საავადმყოფოში გადაყვანა მოითხოვა. დაგვიანებული დიაგნოზი საავადმყოფომაც დაადასტურა. ბავშვის მდგომარეობა თანდათან გაუარესდა: მთლიანად შეწყდა შარდის გამოყოფა, დაიწყო შეუჩერებელი პირღებინება, განვითარდა მენინგიალური მოვლენები; ბავშვს გაუშეშდა კისრის და კეფის კუნთები, მალე მხედველობაც დაკარგა. ხსნა თითქოს შეუძლებელი იყო. კონსილიუმი კონსილიუმზე იკრიბებოდა. ბავშვის გადასარჩენად საავადმყოფოს ექიმები ყველა საშუალებას მიმართავდნენ. ბოლოს გადაწყდა განსაკუთრებულად რთული სამკურნალო პროცედურის ჩატარება — ვენაში ხანგრძლივი წვეთოვანი გადასხმა. მკურნალობის ეს მეთოდი ახალი იყო, პირველად ინერგებოდა იმ საავადმყოფოში, სადაც პატარა ამირანი იწვა. ამ მეთოდის გამოყენება მოითხოვს ავადმყოფის სასიცოცხლო ძალების სწორად შეფასებას (წინააღმდეგ შემთხვევაში დაღუპვა არა თუ გარდაუვალია, არამედ დაჩქარდება კიდეც) და აი დაიწყო სითხის გადასხმა. ბავშვს თავზე ადგანან სპეციალისტები. ყოველ წუთში ამოწმებენ მის მდგომარეობას.

ასე დაიწყო სიკვდილთან მძიმე და ხანგრძლივი ბრძოლა. იბრძოდა პატარა ამირანის ორგანიზმი, იბრძოდნენ ექიმები, მეცნიერების უძლეველი ძალა და ბრძოლა სიცოცხლის გამარჯვებით დამთავრდა, ბავშვი გადარჩა.

ეს შემთხვევა მოვიყვანეთ მხოლოდ იმის ნათელსაყოფად თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ავადმყოფობისადმი ზერელე დამოკიდებულებას, დაგვიანებულ დიაგნოზს. დროული დიაგნოზი ყოველთვის აუცილებელია, მაგრამ არის ისეთი დაავადებანი, მაგალითად, დიფტერია, ქუნთრუშა, წითელა, მუცლის ტიფი, ყივანახველა, ფილტვების ანთება და სხვა; რომელთაც მძიმე გართულებები ახასიათებთ და თუ დროზე არ იქნა დიაგნოზი დასმული, შეიძლება ამან საბედისწერო დასასრულამდე მიგვიყვანოს.

განსაკუთრებით მუხთალი დაავადებაა ქუნთრუშა. ამ ათიოდე წლის წინათ ხშირი იყო ქუნთრუშით დაღუპვის შემთხვევები. მას შემდეგ რაც ხმარებაში შემოვიდა ძლიერმოქმედი სამკურნალო საშუალებანი — ანტიბიოტიკები —მნიშვნელოვნად შემცირდა მძიმე ფორმები და გართულებანი. ამ ბოლო წლებში ეს ავადმყოფობა ხშირად იოლ, წაშლილ ფორმებში მიმდინარეობს. მაგრამ ამან ერთი წუთითაც არ უნდა მოადუნოს მშობლებისა და ექიმების ყურადღება. ცოტა არ არის შემთხვევა, რომ იოლად დაწყებული ავადმყოფობა რთულდება და ზოგჯერ კატასტროფითაც მთავრდება.

ქუნთრუშა ზედა სასუნთქი გზების მწვავე ინფექციური დაავადებაა და სწრაფადაც ვრცელდება, თუ დროზე არ იქნა მიღებული წინასწარ გამაფრთხილებელი ზომები. ყოველი 100 ბავშვიდან, რომელიც ავადმყოფთან კონტაქტში მოხვდება, შეიძლება დაავადდეს 35-40 ბავშვი. უფრო ხშირად სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვები (3-დან 12 წლამდე) ავადდებიან. გამორიცხული არ არის ახალშობილისა და მოზრდილის დაავადებაც, იმ განსხვავებით, რომ მოზრდილებში ეს დაავადება უმთავრესად არადამახასიათებელი ნიშნებით.ატიპიურად ვითარდება.

მაინც რა ძირითადი ნიშნები ახასიათებს ქუნთრუშას, როგორ იწყება და ვითარდება იგი?

ტიპიურ შემთხვევაში ავადმყოფობა იწყება უცბად. წინასწარი გამაფრთხილებელი ნიშნების გარეშე: მაღალი ტემპერატურით, პირღებინებით, ყელის ტკივილით (ე. წ. ანგინით) და 1-დან 24 საათის განმავლობაში მთელ ტანზე წვრილი. წინწკლოვანი ხასიათის გამონაყარის განვითარებით. დაავადების სიმძიმის შესაბამისად ანიგნა შეიძლება იყოს კატარალური — უნადებოდ, ფოლიკულარული — ფიფქისებური ნადებით და ნეკროზული ხასიათის. ტემპერატურაც დაავადების ფორმაზეა დამოკიდებული. საშუალო და მძიმე ფორმების დროს ტემპერატურა 39-40-41 გრადუსს აღწევს, ასეთ შემთხვევაში გამონაყარი უხვი და ინტენსიურია. ზოგჯერ ციანოზური ელფერისაა, რაც დაავადების ტოქსიკურ ფორმებზე მიუთითებს.

საერთოდ არჩევენ ქუნთრუშის სამ ფორმას —მსუბუქს, საშუალო მძიმეს და მძიმე ფორმებს. მძიმე ფორმებიდან აღსანიშნავია ტოქსიკური და სეპტიკური ფორმები, აგრეთვე შეუღლებული — ტოქსიკურ-სეპტიკური ფორმა, რომელიც მეტისმეტად მძიმედ მიმდინარეობს.

ატიპიური ფორმის დროს დაავადების ნიშნები (ანგინა, გამონაყარი, ტემპერატურის რეაქცია) ან ძლიერ მკრთალადაა გამოსახული ან ზედმიწევნით მძიმედ, ანდა დამახასიათებელი ნიშნების კომპლექსიდან გამოვარდნილია რომელიმე წამყვანი ნიშანი, მაგალითად, ტემპერატურული რეაქცია, გამონაყარი, ან ორივე ერთად, ანდა ყელისტკივილის შეგრძნება. ორივე შემთხვევაში თუ დროზე არ იქნა დიაგნოზი დასმული და საჭირო ზომები მიღებული, შეიძლება თავი იჩინოს ქუნთრუშასათვის დამახასიათებელმა მძიმე გართულებებმა.

როგორც ზემოთ ითქვა, ატიპიური ფორმით უმთავრესად დიდები ავადდებიან. ამ შემთხვევაშიც სიფრთხილეა საჭირო. — ერთი რომ მოსალოდნელია ავადმყოფობის გართულება და მეორეც, იმ ბავშვების დაავადება, რომლებიც ავადმყოფთან კონტაქტში არიან.

ქუნთრუშის ატიპიურ ფორმას განეკუთვნება ელვისებური ფორმაც. წინათ 1-2 დღის განმავლობაში იღუპებოდა ამ ფორმით დაავადებულთა 99 პროცენტი. უკანასკნელ წლებში ეს ფორმა თითქმის აღარ გვხვდება. არსებობს აგრეთვე ჭრილობისა და დამწვრობითი ფორმის ქუნთრუშა. ამ დროს ავადმყოფობის გამომწვევი ორგანიზმში ჩვეულებრივად ზედა სასუნთქი გზებიდან კი არ შეიჭრება, არამედ დაზიანებული კანიდან. ამიტომ, როცა შეამჩნევთ, რომ ბავშვს კანზე ნაკაწრი, ჭრილობა

ან დამწვრობა აქვს, დაუყოვნებლივ უნდა ჩაუტაროთ საჭირო მკურნალობა.

ჭრილობის ან დამწვრობითი ქუნთრუშით დაავადების დროს, ტიპიური ქუნთრუშისაგან განსხვავებით, პირის ღრუს ლორწოვან ან ნუშისებრ ჯირკვლებზე დამახასიათებელი ნიშნები 1-2 დღის დაგვიანებით ვითარდება, რასაც ხშირად შეცდომაში შეჰყავს ახალგაზრდა ექიმი, ტანზე გამონაყარს კვებითი მოწამვლით ხსნის და არასწორ მკურნალობას ნიშნავს.

ქუნთრუშით დაავადების ფარული ხანა ანუ ინკუბაციური პერიოდი საქართველოს კლიმატურ პირობებში საშუალოდ 8-12 დღეა. თუმცა ეს პერიოდი ზოგჯერ ძლიერ მცირდება და დაავადება რამდენიმე საათში ვითარდება. დაავადების გავრცელების წყაროა ავადმყოფი და ის საგნები, რომლებსაც იგი იყენებს (პროდუქტები, ჭურჭელი, ტანსაცმელი) და აგრეთვე მისი უშუალო მომვლელი. ქუნთრუშა გადამდებია ავადმყოფობის მწვავე პერიოდის პირველსავე საათებიდან 30-41 დღემდე, ზოგჯერ 53-70 დღემდეც. კი. გადამდებლობის ხანგრძლივობას თვალსაჩინოდ ამცირებს ჰიგიენური აბაზანები და ავადმყოფის განცალკევება, ახანგრძლივებს ყურის ჩირქოვანი ანთება და პირის ღრუს ლორწოვანის კატარალური მოვლენები.

უნდა ვიცოდეთ, რომ ავადმყოფობის დროულად გამოცნობით და სწორი, გადაუდებელი მკურნალობით შეიძლება თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი გართულება. მით უმეტეს, ახლა, როცა სამედიცინო მეცნიერება ჩვენში არნახულ სიმაღლეზეა, გვაქვს ეფექტური სამკურნალო საშუალებანი, გვყავს ექიმთა შესანიშნავი კადრები.

რა მოეთხოვება მშობლებს იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ გართულება და ავადმყოფობის გავრცელება?

დაიცავით პირადი ჰიგიენის ელემენტარული წესები. თუ თქვენ ანგინა გაქვთ, თუნდაც იოლ ფორმებში, არ აკოცოთ ბავშვს, ცხვირტუჩზე ნიღბის აუფარებლად ახლო მანძილიდან არ ელაპარაკოთ, რადგან შეიძლება თქვენ ქუნთრუშის ანგინით იყოთ დაავადებული.

ყელში უმნიშვნელო ტკივილების დროს არა მარტო თქვენ, არამედ თქვენი ბავშვებიც, რომლებიც შეიძლება არაფერს უჩივიან, გაასინჯეთ ექიმს. ჭამის წინ და ჭამის შემდეგ 2-3-ჯერ ყელში გამოივლეთ სადეზინფექციო ხსნარები — 2-პროცენტიანი ბორის მჟავა, პენიცილინის ხსნარი ან პერმანგანეცის სუსტი ხსნარი. ყელში და პირის ღრუში მწვავე მოვლენების ჩაქრობამდე ატარეთ ნიღაბი. განსაკუთრებით ბავშვებთან ურთიერთობის დროს

ქუნთრუშის პირველი ნიშნების გამოვლინებისას დაუყოვნებლივ მოუხმეთ ექიმს. ქუნთრუშის გამონაყარი შეიძლება მალე გაქრეს და დიაგნოზის დადგენა გაძნელდება, რითაც ბავშვს საშიშროება შეექმნება.

თუ ექიმმა ავადმყოფის სტაციონარში გადაყვანა გირჩიათ, უმალვე დაეთანხმეთ; საავადმყოფო სწორი მკურნალობის და საშიში გართულებებიდან ავადმყოფის ხსნის საიმედო ადგილია.

საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ ავადმყოფი 12-15 დღით მოარიდეთ ჯანმრთელ ბავშვებს, განსაკუთრებით კი იმას, ვისთანაც პირველად იყო კონტაქტში.

არ დაუშვათ ქუნთრუშით დაავადებული ავადმყოფის თვითნებური მკურნალობა, რომელიც ზიანის მეტს ბავშვს არაფერს მოუტანს.

გახსოვდეთ, რომ მართალია, ქუნთრუშა უკანასკნელ წლებში შედარებით იოლად მიმდინარეობს, მაგრამ ჯერ კიდევ სერიოზულ დაავადებად რჩება.

**დავით იაშვილი,**

თბილისის ბავშვთა პირველი ინფექციური საავადმყოფოს მთავარი ექიმი, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სასარგებლო რჩევა

# კბილების მოვლა

პირის ღრუს არასწორი მოვლა კბილების დაავადების ერთ-ერთი მიზეზია. როგორც ცნობილია, სუნთქვისა და საჭმლის მიღების დროს პირის ღრუში გროვდება სხვადასხვა მიკროორგანიზმები და აქ ისინი ხელშემწყობ პირობებს პოულობენ გამრავლებისათვის.

რბილი ნალექი, რომელიც კბილებზე მუდმივად ჩნდება შეიცავს: საჭმლის ნარჩენებს, აგრეთვე ნერწყვისგან გამოყოფილ სხვადასხვა სახის ქიმიურ ნივთიერებებს და სხვა. შემდეგ ნალექების უმეტესი ნაწილი ჭამისა და სმის დროს სცილდება პირის ღრუს. ამის შედეგად ბაქტერიების რაოდენობა 8-10-ჯერ მცირდება. მაგრამ საჭმლის მიღების შუალედებში კვლავ იზრდება. პირის ღრუს თავისთავადი წმენდის ეფექტურობა იზრდება საკვების ხანგრძლივი ღეჭვისას. ძალიან სასარგებლოა სადილის შემდეგ მივიღოთ კარგად გაწმენდილი ხილი ან ბოსტნეული — ვაშლი, სტაფილო, ბოლოკი და ა. შ.

მაგრამ პირის ღრუს ბუნებრივი თვით გაწმენდა მაინც არ არის საკმარისი. ამიტომ საჭიროა რეგულარულად დავიცვათ კბილების მოვლის განსაზღვრული წესები.

ეს წესები სრულიად არ არის რთული, მაგრამ საჭიროა მისი მტკიცე დაცვა. აი ისინიც: საჭმლის მიღების შემდეგ აუცილებელია თბილი წყლის პირში გამოვლება; ყოველდღიურად დილას ან საღამოს კბილები უნდა გაიწმინდოთ ჯაგრისით კბილის ფხვნილის გარეშე; კბილის ფხვნილით უნდა ისარგებლოთ მხოლოდ ორ დღეში ერთხელ, უმჯობესია ძილის წინ; გაიწმენდთ თუ არა კბილებს, ჯაგრისი გულდასმით უნდა გაირეცხოს საპნით; შემდეგ კი ხელახლა გასაპნული შეინახოთ თავდახურულ ჭურჭელში; ხმარების წინ უმჯობესია ჯაგრისს საპონი ცხელი წყლით მოაშოროთ.

ბავშვები ორნახევარი-სამი წლის ასაკიდან, როცა მათ ყველა სარძევე კბილი ამოჭრილი აქვთ, უნდა ხმარობდნენ პატარა ზომის რბილ ჯაგრისს. ამ ასაკის ბავშვებმა საკმარისია კბილები გაიწმინდონ დღეში ერთხელ — ღამით, უფხვნილოდ, საჭმლის მიღების შემდეგ კი პირის ღრუში უნდა გამოივლოს ანადუღარი წყალი. 7-8 წლის ასაკიდან ბავშვებმა კბილები დღეში 1-2-ჯერ უნდა გაიწმინდონ რბილი ჯაგრისით, ფხვნილისა და პასტის გარეშე, ხოლო 2-3 დღეში ერთხელ — ღამით პასტით ან კბილის ფხვნილით.

კბილების წმენდისას ჯაგრისი უნდა მოძრაობდეს არა მხოლოდ კბილების გასწვრივ, არამედ უმთავრესად ზევიდან ქვევით, რომ კბილებს შორის ჩარჩენილი საჭმლის ნაწილაკები უფრო კარგად გამოეცალოს. განსაკუთრებით ენერგიულად უნდა გაიწმინდოს საღეჭი კბილები. ოდნავ მოხრილი ჯაგრისი უფრო მოსახერხებელია, რადგან კბილების წყობას ასე უფრო შეეფერება.

კბილების არასწორი მოვლა ხშირად იწვევს მინანქრის გაცვეთას. ხანგრძლივი და ხშირი წმენდა ფხვნილით, განსაკუთრებით მსხვილად დაფქვილით, წინა კბილების ემალს ათხელებს, მათი ზედაპირი ულამაზოდ ბრტყელდება. კბილების ეს დეფექტი განსაკუთრებით შეიმჩნევა ახალგაზრდებში, რომლებიც ცდილობენ გაიქათქათონ კბილები და მეტისმეტად ხშირად იწმენდენ ჯაგრისით და ფხვნილით. მაგრამ ისინი სცდებიან. უნდა ვიცოდეთ, რომ ყველაზე მტკიცე და გამძლე სწორედ თეთრ-მოყვითალო კბილებია.

დოცენტი პ. ევსტიფეევი

# ბავშვის ბანაობა



**ხომ არ ვნებს ბავშვს ყოველდღიური ბანაობა? ცხადია, არა. ყოველშემთხვევაში ექვს თვემდე მაინც აუცილებელია ბავშვი ვაბანაოთ ყოველდღე, ხოლო შემდეგ დღეგამოშვებით.**

**თუ აბაზანის მიღება ნორმალურ პირობებში ხდება, ის ბავშვს არა თუ ღლის, პირიქით, ბანაობის შემდეგ ბავშვი თავს უკეთესად გრძნობს.**

**ბანაობისას არ არის საჭირო ოთახის სპეციალურად დათბობა. ჩვეულებრივ სრულიად საკმარისია 20 გრადუსი სითბო, წყალი კი 36-37 გრადუსამდე უნდა გავათბოთ.**

**ბავშვებს საერთოდ ძალიან უყვართ ბანაობა და დიდ სიამოვნებას განიცდიან ამ დროს, მაგრამ მიზანშეწონილი მაინც არ არის 5 წუთზე მეტ ხანს მათი წყალში დაყოვნება.**

**ბანაობა უფრო მიზანშეწონილია საღამოს უკანასკნელი კვების წინ, რადგან ბავშვი უფრო მოსვენებულად ატარებს დარჩენილ დროს და მშვიდად იძინებს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დიასახლისის გამოცდილება

### არყა სოკო ძმრით

2 კგ არყა სოკო მოვხარშოთ, გავრეცხოთ ცივ წყალში, კარგად გავწუროთ და შევწვათ.

1 ჩაის ჭიქა ნიგოზი, 3 ძირი ქინძის მარცვალი და მარილი ერთად დავნაყოთ და ძმარში (გემოვნებით) გავლესოთ. შემდეგ შემწვარი სოკო ჩავაწყოთ ამ მასალაში და ჩავაჭრათ 5 ძირი ნედლი ქინძის ფოთოლი.

სუფრაზე მივიტანოთ ცხელ მჭადთან ერთად.

**ნინო ნადირაძე,**
ჭიათურა.

### კარტოფილი ნიგვზით

2 კგ კანიანად მოხარშული კარტოფილი გავფცქვნათ და ვზილოთ ხელით ხუთი წუთის განმავლობაში.

250 გრ ნიგოზი დავნაყოთ ცოტა ქინძის თესლთან ერთად და ზეთი გამოვხადოთ. შემდეგ ერთად დავნაყოთ 2 კბილი ნიორი, ხმელი ქინძი, წიწაკა და მარილი (გემოვნებით) და ძმარში გავხსნათ. 200 გრ ხახვი და 2-3 ძირი ოხრახუში წვრილად დავკეპოთ.

ამ მასალაში ავურიოთ უკვე გამზადებული კარტოფილის პიურე. დარჩეული ბროწეულის მარცვლები და მოვასხათ ნიგვზიდან გამოხდილი ზეთი.

### ხილეულის პიურე

ვაშლი, მსხალი, ატამი და კომში (აუცილებლად) გავრეცხოთ და დავთალოთ.

თუჯის ქვაბში ერთ ფენად ჩავაწყოთ დამარცვლილი შავი ადესა, შემდეგ ასევე ფენებად — დათლილი ხილი. ზევიდან ისევ დავაყაროთ დამარცვლილი ყურძენი და ვადუღოთ არანაკლებ ნახევარი საათისა. გამზადებულ პიურეს შაქარი მივუმატოთ გემოვნებით.

**ნათელა ჩხაიძე,**
ქობულეთი.

### ჭარხალი ნიგვზით

1 კგ ჭარხალი კანიანად გარეცხეთ, შეწვით ან მოხარშეთ. შემდეგ გაფცქვენით და ნაჭრებად დაჭერით.

200 გრ ნიგოზი, მარილი და წიწაკა ერთად დანაყეთ, გახსენით ძმარში და აურიეთ შიგ მოხარშული ჭარხალი. თუ გსურთ, ზევიდან მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში.

### ჭარხლის ფოთლის მხალი

1 კგ გადარჩეული, გარეცხილი ჭარხლის ფოთოლი ქვაბში ჩაყარეთ და დაასხით ძალიან ცოტა მდუღარე წყალი. თავდახურული მოხარშეთ. შეაგრილეთ და კარგად გაწურეთ.

1 ჩაის ჭიქა ნიგოზი, ქინძი, წიწაკა, ნიორი და მარილი (გემოვნებით) დანაყეთ. დაუმატეთ 3-4 ძირი დაჭრილი კამა, 2 თავი დაკეპილი ხახვი, ძმარი და აურიეთ. ამ მასალაში შეურიეთ გაწურული ჭარხლის ფოთოლი და სუფრაზე მიიტანეთ.

**ციალა ციბაძე,**
ზესტაფონის რაიონი, სოფელი ზოვრეთი.

# ავეჯის მოვლა

თუ თქვენს ოჯახში მტვერსასრუტი არ არის და რბილი ავეჯის ჰაერზე გამოტანის საშუალებაც არა გაქვთ, მისი გაბერტყვა ოთახშიც შეგიძლიათ და, აი, როგორ: ავეჯს გადავაფარებთ ძმრის ხსნარში დასველებულ და კარგად გაწურულ დიდ, სუფთა ქსოვილს (1 სუფრის კოვზი ძმარი 1 ლიტრ წყალზე), შემდეგ დავიწყებთ ბერტყვას წკეპლით ან სპეციალური საბერტყავით. როცა ჩვარი გაჭუჭყიანდება, ის უნდა ამოვრეცხოთ სუფთა წყალში და ხელახლა უნდა დავასველოთ ძმარწყალში. საბოლოოდ ავეჯი უნდა გაიწმინდოს ჯაგრისით.

რბილი ავეჯის გაწმენდა შეიძლება აგრეთვე ტანისამოსის მაგარი ჯაგრისით, რომელსაც მჭიდროდ ექნება შემოხვეული მარილწყალში დასველებული და კარგად გაწურული დოლბანდის ორმაგი ფენა. შემდეგ ავეჯს ასუფთავებენ მშრალი ჯაგრისით, როგორც პირველ შემთხვევაში.

პლუშგადაკრული ავეჯის გასაწმენდად არ უნდა ვიხმაროთ მტვერსასრუტი, ცოცხი ან ჯაგრისი, რადგან ამან შეიძლება ხაოს ცვენა გამოიწვიოს. ასეთ ავეჯს ყოველდღიურად გადაუსვამენ რბილ ჩვარს. ხანგამოშვებით კი წმენდავენ გაწურული მჟავე კომბოსტოთი ან თბილ წყალში დასველებული და საგულდაგულოდ გაწურული ღრუბლით. ცხიმის ლაქები ბენზინით ამოჰყავთ.

თუ რბილ ავეჯს დერმატინი ან ტყავი აქვს გადაკრული, ყოველდღე უნდა გადაუსვათ ოდნავ სველი ჩვარი, ხოლო იშვიათად — ათქვეფილ კვერცხის ცილაში დასველებული ნაჭერი. მაგრამ ამ შემთხვევაში ავეჯი წინასწარ უნდა გაიწმინდოს მტვრისგან.

### გალაქული ან გაპრიალებული ავეჯის მოვლა-პატრონობა

წყალი აფუჭებს გაპრიალებულ ავეჯს, ამიტომ მას წმენდენ ჯერ მშრალი ჩვრით, შემდეგ კი ფანელის ნაჭრით, რომელიც დასველებულია სითხე „პოლიროლში" (იყიდება საოჯახო საქონლის მაღაზიებში). ნახევარი საათის შემდეგ ავეჯს აპრიალებენ რბილი მშრალი ჩვრით.

პატარა ნაფხაჭნები გაპრიალებულ ავეჯს შეიძლება მოვაცილოთ წითელი ღვინისა და ზეითუნის ზეთის ან მანქანის ზეთის ნარევით (პროპორცია: ღვინო 1 წილი, ზეთი 1 წილი). ამ ნარევს წავუსვამთ ნაფხაჭნს და როცა სითხე ოდნავ შეიწოვება, ნარჩენი უნდა ჩავაზილოთ ხელის წრიული მოძრაობით, შემდეგ კი ავეჯის ზედაპირს გავაპრიალებთ მშრალი ჩვრით.

გალაქული ავეჯი დროთა განმავლობაში კარგავს თავის ელვარებას და შავდება. ავეჯს რომ პირვანდელი ფერი დაუბრუნდეს, ამისათვის ჯერ წვრილმარცვლიანი ზუმფარის ქაღალდით გადააფხეკენ ლაქის ძველ ფენას (ამ ქაღალდს ფრთხილად უსვამენ ავეჯის ზედაპირს — ხის ბოჭკოების გასწვრივ), შემდეგ ავეჯს ისევ გადაუსვამენ ლაქს (უმჯობესია სპირტიანი ლაქი, მაგალითად, უფერული ან ფერადი ნიტროლაქის მზა ნაერთი). ბამბეულის ქსოვილისაგან აკეთებენ პატარა პარკუჭს, რომელშიც მოათავსებენ ლაქით გაჟღენთილ ბამბას. შემდეგ ამ ტამპონს თანაბრად წაუსვამენ ავეჯის ზედაპირს. 30-40 წუთის შემდეგ, როცა ლაქი კარგად გაშრება, წაუსვამენ მეორე, ხოლო ზოგჯერ მესამე ფენასაც.

ასევე შეიძლება გამოვიყენოთ მზა ნაერთი — „პოლიროლის" მზა შემადგენლობა. თუ არც ნიტროლაქი გვაქვს და არც „პოლიროლი", უნდა დავამზადოთ მასტიკა.

მასტიკის დამზადების პირველი ხერხი ასეთია: თანაბარი რაოდენობით იღებენ სანთელს, სკიპიდარს, ნავთს და ერთმანეთში ურევენ. ჭურჭელს, რომელშიც მოთავსებულია ეს ნარევი, ჩადგამენ მდუღარეწყლიან ქვაბში.

1. ნიტროლაქების, ბენზინისა და სხვა ამგვარი მასალის გამოყენების დროს აუცილებლად საჭიროა სადგომების კარგად განიავება.

მეორე ხერხი: 15 გრ გასუფთავებულ თაფლის სანთელს, 50 გრ სკიპიდარს, 200 გრ სელის ზეთს (ოლიფას), 20 გრ პარაფინს, 5 გრ საპნის ნაფხეკს და 1/4 ჭიქა წყალს ერთმანეთში შეურევენ და ზემოაღნიშნული წესით გაადნობენ.

ჭუჭყიან გალაქულ ავეჯს ჯერ წვრილმარცვალა ზუმფარის ქაღალდით ფრთხილად აცილებენ ჭუჭყსა და მტვერს და მერე გადაუსვამენ მშრალ ჩვარს. მერე ავეჯის ზედაპირს თხელ ფენად წაუსვამენ „მასტიკას". 30-40 წუთის შემდეგ ავეჯს მშრალი მაუდის ან ფანელის ნაჭრით გააპრიალებენ.

გალაქულ ავეჯს წყლის ლაქებს ასე აცილებენ: ლაქას დააყრიან ფქვილს, შემდეგ კი ფქვილმოყრილ ადგილს პროვანსის ან მანქანის ზეთში დასველებული ჩვრით ხეხავენ, სანამ ლაქა არ გაქრება.

თარგმნა **ლ. შოთაშვილმა**

# ფერად-ფერადი გამოცანით

## საბრალო ხოჭო

ეს ხოჭო არც ტყეში გეგონოთ დაჭერილი და არც ზოომაღაზიიდან მოყვანილი. იგი ნაყიდი გახლავთ... საიუველირო მაღაზიაში. თანაც მისი ღირებულება იგივეა, რაც ოქროსაგან დამზადებულისა. ხოჭოს „საიდუმლოება" იმაში მდგომარეობს, რომ იგი მოდამოყიჭებულთა უკანასკნელ სიახლეს წარმოადგენს დასავლეთში. რა საჭიროა ყელსაბამი და გულსაბნევი, დიადემა და მძივი! ყოველივე ეს ხომ ჩვენი ბებიის ბებიებმაც იცოდნენ! და აი პარიზისა და მადრიდის საიუველირო სალონებს ამშვენებს ოქროს ძეწკვზე დაკიდებული ძვირფასი ქვებით მოჭედილი ცოცხალი ხოჭოები. ყოველშემთხვევაში „უმაღლესი წრის" ზოგიერთი მანდილოსანი ამტკიცებს, რომ ეს მათ თავმოყვარეობას ულიტინებს.

რა გვეთქმის სქელჯიბიანთა ამ ახალი გამოგონების გამო? — ჰამბურგის გაზეთი „ბილდ-ცაიტუნგი" აქვეყნებს მკითხველთა წერილებს ახალი მოდის შესახებ. წერილების სერია მჭერმეტყველურადაა დასათაურებული: „საბრალო ხოჭო!" ძნელია არ დაეთანხმო.

## ყვავილები და ვისკი

არც დაიჯერებთ ალბათ, რომ ვისკს დამჭკნარი ყვავილების გამოცოცხლება შეუძლია. მაგრამ თურმე ასე გახლავთ. ეს პატარა, შემთხვევითი აღმოჩენა ერთ ინგლისელ მებაღეს ეკუთვნის. ბევრმა მაშინათვე შეამოწმა ეს და ახლა რჩევა-დარიგებას იძლევიან, ვისკი ან არაყი თითონ ქოთანში კი არა, მის დასადგმელ თეფშზე უნდა დაასხათ, თანაც პატარ-პატარა დოზებითო.

## ხუთი სეკუნდი უწონობის მდგომარეობაში

ლისაბონის აეროპორტში ახლადდაშვებული თვითმფრინავიდან მგზავრების გადმოსვლის მომენტში ხალხმა „ბუნების საწაული" იხილა. ერთი მგზავრი ქალი თვითმფრინავიდან გადმოსვლის დროს მოულოდნელად ჰაერში აფრინდა, რამოდენიმე წამი დაჰყო იქ და ისევ მიწაზე დაეშვა.

ეს შემთხვევა ტექნიკური თვალსაზრისით ძალიან მარტივად აიხსნება: ამ თვითმფრინავის გვერდით კიდევ ერთი ტურბორეაქტიული თვითმფრინავი დაეშვა და ჰაერის ნაკადმა, რომელიც წარმოიშვა თვითმფრინავის საქშენების მიერ ჰაერის შეწოვის შედეგად, მინიატურული ქალი ზევით აიტაცა

* * *

გასულ წელს ქალაქ იმპერიაში (იტალია), სადაც გაიმართა სილამაზის კონკურსი, მოხდა სკანდალი. სილამაზის დედოფალმა, რომელსაც მიანიჭეს ტიტული „მისს იმპერია", საზოგადოებას მიმართა შემდეგი სიტყვებით:

— მადლობას მოგახსენებთ ტიტულისათვის, მაგრამ მე... მამაკაცი ვარ. — და იგი მიიმალა.

როგორც გამოირკვა, უნივერსიტეტის ერთ-ერთმა სტუდენტმა, რომელმაც ამხანაგებთან სანიძლაო დადო, სასაცილოდ აიგდო კონკურსის ჟიური და საზოგადოება.

* * *

ნიუ-იორკში შექმნეს პლასტმასის გამჭვირვალე საფარი. იგი დაიდგმება ტელევიზორის ეკრანის წინ. ახლა თამამად შეიძლება ტელევიზორის ეკრანს დაუშინონ ყველაფერი, რაც ხელში მოხვდებათ, ვინაიდან მას არავითარი ზიანი არ მოუვა. ფირმა თავისი გამოგონების გამოყენებას ურჩევს იმ ადამიანებს, რომლებიც მოთმინებიდან გამოჰყავს თანამედროვე ამერიკულ სატელევიზიო პროგრამებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| – | ე | ი | – | ა | – | ი |
| – | ე | ი | – | ა | – | ი |
| – | ე | ი | – | ა | – | ი |
| – | ე | ი | – | ა | – | ი |
| – | ე | ი | – | ა | – | ი |
| – | ე | ი | – | ა | – | ი |
| – | ე | ი | – | ა | – | ი |
| – | ე | ი | – | ა | – | ი |
| – | ე | ი | – | ა | – | ი |
| – | ე | ი | – | ა | – | ი |

### ძვირფასო მკითხველებო!

შეავსეთ ცარიელი უჯრები ასოებით, რომ გამოვიდეს ათივე სიტყვა არსებითი სახელი.

შეადგინა
**როზა თავდიდიშვილმა**

გარეკანის პირველ გვერდზე საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნინო ჩხეიძე. დაბადების ოთხმოცი წლის თავი.

ფოტო დ. იაკობაშვილის


რედაქტორი თ. აბაშიძე.
სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბალდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.
მხატვრული რედაქტორი ლ. შენგელია. ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.
რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/III-63 წ. ქაღალდის ზომა 60×92, ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორმათა რაოდ. 5,3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. ყ-98-71.
ტირაჟი 48.000. ფასი 30 კაპ.
შეკვეთის № 459 უე 04880

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1, ლენინის ქ. № 14.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сакартвелос Кали".
Издательство ЦК КП Грузии.

# იუმორი იუმორი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბოლო ვინ არის, შვილო?

ნახ. შ. პარკაულის



შინ



გარეთ

ნახ. ა. ერაძის



ნახ. ი. დოიაშვილის



б 65/122



ИНДЕКС 76177